

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ზურაბ ბუცხრიკიძე

„26“ „10“ 2015 წელი

ეგზ. № 1

გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2013-2014 წლების საფინანსო-ეკონომიკური

საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

აღ 61/00

2015 წელი

სარჩევი

აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგი.....	3
აუდიტის მიზანი და მასშტაბი	5
შესაბამისობის აუდიტის მიზანი	5
აუდიტის მასშტაბი.....	5
აუდიტის ანგარიშის დანიშნულება	6
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	6
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	6
შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის ფორმა.....	7
აუდიტის ობიექტის მოკლე მიმოხილვა.....	7
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმოხილვა.....	7
საბიუჯეტო პროცესი	10
შესყიდვების მართვა	11
გზების კაპიტალური მოწყობა.....	15
სპორტდარბაზის მშენებლობა.....	17
კაჭრეთის ჭაბურღილის მოწყობა	17
სამუშაოების ანაზღაურება ფაქტობრივი დანახარჯების შესაბამისად.....	18
დაურიცხავი პირგასამტეხლო.....	19
„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“	22
დაუსაბუთებელი ხარჯი	23
ხიდის მოწყობა.....	24
ავტომანქანების შესყიდვაზე გადახდილი დღგ.....	24
შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება	25
საკრებულოს წევრების ანაზღაურება	25
საინფორმაციო საშუალებების დაფინანსება	26
დასუფთავება.....	26
სასაფლაოების მოვლა-პატრონობა.....	27
მუნიციპალიტეტის იურიდიული პირები.....	28
სოციალური უზრუნველყოფა.....	31
ქონების განკარგვა	32
დემონტირებული მასალები.....	32
მიწაზე საკუთრების უფლების აღიარება	33
სატრანსპორტო საშუალებები ლიმიტის ზევით.....	33
აღრიცხვა-ანგარიშგება.....	34
კერძო აუდიტის დასკვნა.....	35
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	35
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	35

აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგი

- ❖ 2013-2014 წლების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში კანონმდებლობის დარღვევით არასწორად არის კლასიფიცირებული 1100.6 ათასი ლარის ოპერაცია.
- ❖ 2013-2014 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებულ ტენდერებში გამოვლინდა, რომ სატენდერო კომისიას პრეტენდენტების მიმართ გააჩნდა არაერთგვაროვანი მიდგომა. კანონმდებლობის შესაბამისად, ტენდერების ჩატარების შემთხვევაში მუნიციპალიტეტს შეეძლო დაეზოგა, სავარაუდოდ, 29.2 ათასი ლარი.
- ❖ 2013 წელს გზების კაპიტალური მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე მუნიციპალიტეტმა დაკარგა 136.0 ათასი ლარის საგარანტიო თანხის მოთხოვნის უფლება და ექსპერტიზით დადასტურებულ უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოში გადაიხადა 279.5 ათასი ლარი.
- ❖ 2013 წელს 2 ხელშეკრულების ფარგლებში ჩატარებული გზების კაპიტალური მოწყობის სამუშაოების დროს წარმოდგენილი მასალების შესწავლით გამოვლინდა, რომ დოკუმენტურად არ დასტურდება დაახლოებით 91.8 ათასი ლარის მასალის გამოყენება.
- ❖ 2013 წელს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხით მუნიციპალიტეტს უნდა დაესრულებინა სპორტდარბაზის მშენებლობა. მიუხედავად იმისა, რომ სრულად დაიხარჯა გამოყოფილი თანხა - 224.9 ათასი ლარი, ობიექტი დაუსრულებელია და მოსახლეობა ვერ სარგებლობს აღნიშნული სიკეთით.
- ❖ 2014 წელს მუნიციპალიტეტის მიერ ჭაბურღილის მოწყობაზე დახარჯულია 89.9 ათასი ლარი. ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვებიდან მოსახლეობის ნაწილს წყალი არ მიეწოდებოდა.
- ❖ 2013-2014 წლებში სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული გზით შესყიდვის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ 4 017.0 ათასი ლარის ღირებულების სამშენებლო სამუშაოები ანაზღაურებულია კანონმდებლობის დარღვევით, ხოლო - 35.1 ათას ლარზე მეტი გადახდილია ზედმეტად.
- ❖ 2013-2014 წლებში ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის გურჯაანის მუნიციპალიტეტის მიერ მიმწოდებლებზე დაურიცხავი პირგასამტეხლოს სახით მიუღებელმა შემოსავალმა შეადგინა 648 ათას ლარზე მეტი, მათ შორის გეგმა-გრაფიკის დარღვევისათვის - 513 ათას ლარზე მეტი.
- ❖ ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობისას, ხელშეკრულების პირობების დარღვევით, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდა დაუსრულებელი ობიექტის მიღება-ჩაბარება თანხით - 6.9 ათასი ლარი.
- ❖ 2013 წელს გურჯაანის მუნიციპალიტეტში შტატგარეშე მოსამსახურედ დასაქმებული იყო 173, ხოლო 2014 წელს - 245 პირი. მუნიციპალიტეტმა ვერ დაასაბუთა, რამდენად იყო შტატგარეშე მოსამსახურეთა მაღალი რიცხოვნობა ობიექტური საჭიროებით განპირობებული. შედეგად, მუნიციპალიტეტის მიერ საანგარიშგებო პერიოდში გაწეულია 1 784.3 ათასი ლარის დაუსაბუთებელი ხარჯი. აქედან, პრემიის სახით გაცემულია 348.7 ათასი ლარი.

- ❖ საანგარიშო პერიოდში საკრებულოს წევრებზე, რომლებიც არ არიან თანამდებობის პირები, გაცემული ჯამური თანხა 84.6 ათასი ლარი, არასწორადაა ჩამოწერილი ხარჯებში, შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე.
- ❖ საკრებულოს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის მიუხედავად, საანგარიშგებო პერიოდში მუნიციპალიტეტს დასუფთავების მოსაკრებელი საერთოდ არ მიუღია, რადგან გამგეობის შესაბამისი სამსახურები არ უზრუნველყოფდნენ დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირებას.
- ❖ სასაფლაოების მოვლა-პატრონობის მომსახურების მისაღებად, 2014 წელს მუნიციპალიტეტმა ა(ა)იპ-ის სუბსიდიური დაფინანსებით მიიღო არაეკონომიური გადაწყვეტილება, რადგან 2013 წელს მომსახურების ტენდერით შესყიდვისას გადაიხადა 11.7 ათასი ლარით ნაკლები.
- ❖ მუნიციპალიტეტის მიერ შესაძლებელია განხორციელდეს ა(ა)იპ-ებისა და მასში არსებული საშტატო ერთეულების ოპტიმიზაცია, რათა გაიზარდოს მათი საქმიანობის პროდუქტიულობა და მოხდეს საბიუჯეტო რესურსების რაციონალური გამოყენება.
- ❖ საანგარიშგებო პერიოდში მუნიციპალიტეტს არ ჰქონდა შემუშავებული სოციალური პროგრამების დაფინანსების წესი, აგრეთვე თითოეული პროგრამისა და ბენეფიციართა შეფასების კრიტერიუმები. არ ხდებოდა ბენეფიციართა საერთო ბაზის წარმოება, არ აღირიცხებოდა შემოსული განცხადებები.
- ❖ მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების ადმინისტრაციული ცენტრებისა და მის საკუთრებაში არსებული სხვა შენობა-ნაგებობების ნაწილს, კომერციული საქმიანობისათვის იყენებენ სხვადასხვა ორგანიზაციები და არაუფლებამოსილი პირები, ხოლო ფართით სარგებლობისათვის ბიუჯეტში შესაბამის საფასურს არ იხდიან.
- ❖ 2013-2014 წლებში მუნიციპალიტეტში ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარება 2 ობიექტზე განხორციელდა კანონდარღვევით.
- ❖ აუდიტის ჯგუფის მიერ მუნიციპალიტეტის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების თანდასწრებით განხორციელდა სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება. გამოვლინდა 1 ერთეული სატრანსპორტო საშუალების დანაკლისი, თუმცა საინვენტარიზაციო კომისიის მასალებში ფაქტობრივ ნაშთებშია აღრიცხული.
- ❖ 2013 წელს მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული აუდიტორული მომსახურების შესწავლით გამოვლინდა, რომ ანგარიში არ მოიცავს იმ ხარვეზებსა და დარღვევა-ნაკლოვანებებს, რომლებიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ იქნა იდენტიფიცირებული.

აუდიტის მიზანი და მასშტაბი

აუდიტის მიზანია აუდიტის ობიექტის 2013-2014 წლების განმავლობაში გაწეული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შემოწმება.

შესაბამისობის აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანს წარმოადგენდა გურჯაანის მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესაბამისობის დადგენა, მასზე არსებითი გავლენის მქონე საკანონმდებლო და მარეგულირებელ ნორმებთან, ესენია:

- ❖ საქართველოს ორგანული კანონი - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი¹;
- ❖ საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“;
- ❖ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- ❖ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- ❖ საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“;
- ❖ საქართველოს კანონი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“;
- ❖ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- ❖ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის №7 ბრძანება „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის შესახებ“;
- ❖ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“;
- ❖ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“;
- ❖ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“;
- ❖ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 11 აგვისტოს №364 ბრძანებულება „სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების წესის შესახებ“.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა 2013-2014 წლებში გურჯაანის მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და ფინანსური რესურსების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა

¹ საანგარიშო პერიოდში, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებამდე მოქმედებდა ასევე „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი.

მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. აქედან გამომდინარე, აუდიტმა მოიცვა მუნიციპალიტეტის 2013-2014 წლების სრული ბიუჯეტი, მთლიანი შემოსულობები 30 749.2 ათასი და გადასახდელები - 30 128.4 ათასი ლარი.

აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების შეუსაბამოების ან/და ნაკლოვანების სახით გამოვლენილ იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია 2013 და 2014 წლებში განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობითა და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებს.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს; აგრეთვე ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვას და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის მიერ 2013 და 2014 წლებში განხორციელებული საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით.

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“, რომელიც გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

აუდიტის ობიექტის მოკლე მიმოხილვა

გურჯაანის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელსაც აქვს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 31 ადმინისტრაციულ ერთეულს, მათ შორის, 1 ქალაქს და 30 სოფელს. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ფართობია 846 კვ.კმ, მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 54.1 ათასს კაცს². ადმინისტრაციული ცენტრია - ქალაქი გურჯაანი. გურჯაანის მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიხედვით.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- ❖ საბიუჯეტო პროცესის განხორციელება;
- ❖ ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება, განაკვეთების განსაზღვრა და ამოღება;
- ❖ მუნიციპალური ქონების შექმნის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხების რეგულირება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;
- ❖ სივრცით-ტერიტორიული მოწყობა, განაშენიანება და ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- ❖ მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა და შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ❖ იურიდიული პირების დაფუძნება, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია და სხვ.

2013-2014 წლებში მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებდა თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებული 21 ა(ა)იპ და 1 (ერთი) - შპს.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმოხილვა

საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ადგილობრივი ბიუჯეტის დამოუკიდებლობა გარანტირებულია საკუთარი შემოსულობებითა და გადასახდელების გაწევის დამოუკიდებლად განსაზღვრის შესაძლებლობით.

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, 2013-2014 წლებში მუნიციპალიტეტის შემოსულობები განისაზღვრა 30 749.2 ათასი ლარით. მათ შორის: შემოსავლებმა შეადგინა

² www.nala.ge; www.geostat.ge, www.reestri.gov.ge

30 411.1 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლებამ - 333.1 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების კლებამ -5.0 ათასი ლარი.

ცხრილი №1. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები (ათასი ლარი)

დასახელება	2013 წელი	2014 წელი	სულ
შემოსავლები	14 155.3	16 255.8	30 411.1
გადასახადები	1 434.3	1 831.3	3 265.6
გრანტები	11 718.8	13 134.3	24 853.1
სხვა შემოსავლები	1 002.2	1 290.2	2 292.4
არაფინანსური აქტივების კლება	221.4	111.7	333.1
ფინანსური აქტივების კლება	5.0	0.0	5.0

2013-2014 წლებში შემოსავლებში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერები, რომლებიც წარმოდგენილია შემდეგი სახით:


ცხრილი №2. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერები (ათასი ლარი)

ტრანსფერის დასახელება	2013 წელი	2014 წელი	სულ
გათანაბრებითი	5 550.8	6 826.4	12 377.2
მიზნობრივი	150.0	160.0	310.0
სპეციალური ³	6 018.0	6 147.9	12 165.9

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, 2013-2014 წლებში მუნიციპალიტეტის გადასახდელები განისაზღვრა 30 128.4 ათასი ლარით, მათ შორის: ხარჯებმა შეადგინა 15 596.8 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდამ - 14 047.4 ათასი ლარი და ვალდებულებების კლებამ - 484.2 ათასი ლარი.

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშით, 2013 წელს მუნიციპალიტეტის ხარჯებმა შეადგინა 7 445.7 ათასი ლარი, ხოლო 2014 წელს - 8 151.1 ათასი ლარი.

დიაგრამა №1. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ხარჯები 2013-2014 წელი (ათასი ლარი)




³ 2014 წელს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად სპეციალური ტრანსფერიდან გაიმიჯნა კაპიტალური ტრანსფერი, რომელიც კაპიტალური პროექტების განსახორციელებლად გამოეყოფა ადგილობრივ თვითმმართველობებს, ხოლო სპეციალური ტრანსფერი დარჩა როგორც სტიქიური მოვლენებისა და სხვა საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციოდ მიღებული ფინანსური დახმარება.

2013-2014 წლებში მუნიციპალიტეტის ხარჯების 21,8% გაცემულია „შრომის ანაზღაურების“ სახით, „საქონელი და მომსახურება“ – 21,7%-ია, ხოლო „სუბსიდია“ – 41,3%. 2014 წელს „შრომის ანაზღაურება“ წინა წელთან შედარებით საშტატო ერთეულების კლების გამო შემცირდა 7%-ით, ხოლო მუხლი „საქონელი და მომსახურება“ გაზრდილია დაახლოებით 15%-ით, რაც ძირითადად გამოწვეულია შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობის ზრდით. უნდა აღინიშნოს, რომ „საქონელი და მომსახურების“ 53% შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებას უკავია. ხარჯებში სუბსიდიის მაღალი მაჩვენებელი განპირობებულია თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებული 21 ა(ა)იპ-ის დაფინანსებით, თანხით 5 385.0 ათასი ლარი. ასევე, „სუბსიდიის“ მუხლში ხარჯების არასწორი კლასიფიცირებით. კერძოდ, „საქონელი და მომსახურების“ მუხლში გასატარებელი მიმდინარე ხარჯები - თანხით 937.7 ათასი ლარი და არაფინანსური აქტივების ზრდაზე მისაკუთვნიებული კაპიტალური ხარჯი - თანხით 51.9 ათასი ლარი, რომლებიც თავისი არსით არ განეკუთვნება სუბსიდიას.

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების მიხედვით, 2013-2014 წლებში „არაფინანსური აქტივების ზრდა“ ბიუჯეტის გადასახდელების 46%-ზე მეტს მოიცავს. აღნიშნული მუხლით დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტებიდან ძირითადად განხორციელდა გზების მშენებლობა, წყლის სისტემების მოწყობა, ბინათმშენებლობა და ნაპირსამაგრი სამუშაოები, რაც არაფინანსური აქტივების ზრდის 90%-ზე მეტია.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია წარმოდგენილია 2013-2014 წლების ჯამური მაჩვენებლით.

დიაგრამა №2. 2013-2014 წლების ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია



ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, 2013-2014 წლების ბიუჯეტის გადასახდელებში მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა ეკონომიკური საქმიანობა (29%). აღნიშნული თანხით ფინანსდება გზების მოწყობა, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ და სხვა სამუშაოები. აღსანიშნავია, რომ 2013-2014 წლებში თვითმმართველ ერთეულსა და

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში სულ დასაქმებულ მოსამსახურეებზე (საშუალოდ 1400 კაცი) ხელფასისა და პრემიის სახით გაცემულია ბიუჯეტის გადასახდელების 30%-ზე მეტი (9 096.4 ათასი ლარი).

2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტს თავისუფალი ნაშთის სახით ერიცხებოდა 939.9 ათასი ლარი. მიუხედავად იმისა, რომ გამგეობა ყოველწლიურად გეგმავდა ნაშთის გამოყენებას⁴, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, 2013 წელს ნაშთის დაგროვებამ შეადგინა 29.2 ათასი, ხოლო 2014 წელს - 591.6 ათასი ლარი. წინა წელს გამოუყენებელი თანხის დაბრუნებამ შეადგინა 2013 წელს 63.6 ათასი ლარი, 2014 წელს კი - 7.1 ათასი ლარი. შედეგად, მუნიციპალიტეტს წლის ბოლოსთვის რჩება დიდი რაოდენობის გამოუყენებელი ფულადი სახსრები. კერძოდ, 2013 წელს მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებულმა თავისუფალმა ფულადმა სახსრებმა 905.5 ათასი ლარი, ხოლო 2014 წელს - 1490.0 ათასი ლარი შეადგინა. სასურველია, რომ მუნიციპალიტეტმა ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები დაგეგმოს ისე, რომ მაქსიმალურად გამოიყენოს საკუთარ ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრები სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების განსახორციელებლად ან დაუსრულებელი პროექტების გასაგრძელებლად.

საბიუჯეტო პროცესი

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საქმიანობა საბიუჯეტო პროცესის კუთხით, რიგ შემთხვევებში არ შეესაბამება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსისა და „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების მოთხოვნებს, კერძოდ:

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების მომზადების მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელშიც განსაზღვრულია პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები. მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ აღნიშნული ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტი არ არის გამოცემული.
- ❖ ბიუჯეტის პროექტის მომზადების მიზნით, საფინანსო ორგანოს საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის უნდა გაეგზავნა საბიუჯეტო განაცხადის ფორმები ასიგნებებისა და მომუშავეთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობების მითითებით. 2013-2014 წლებში გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ საბიუჯეტო ორგანიზაციებში არ გადაგზავნილა აღნიშნული ფორმები.
- ❖ 2013-2014 წლების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში „სუბსიდიის“ მუხლში არასწორად არის კლასიფიცირებული 989.6 ათასი ლარი. აქედან, „საქონელი და მომსახურების“ მუხლში უნდა ასახულიყო 937.7 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს ადმინისტრაციული შენობების მოვლა-პატრონობის, გზების მოვლა-შენახვის, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის, მინი-სპორტული მოედნების, გამწვანებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებებს. აგრეთვე, საკანალიზაციო სისტემებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია - თანხით 51.9 ათასი ლარი უნდა კლასიფიცირებულიყო „არაფინანსური აქტივების ზრდაში“.

⁴ 2013 წელი - 896.45 ათასი ლარი, 2014 წელი - 602.6 ათასი ლარი.

- ❖ მუნიციპალიტეტის 2013-2014 წლების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, 111.0 ათასი ლარის ოპერაციები⁵ ნაცვლად „არაფინანსური აქტივების ზრდაში“ ასახვისა, არასწორადაა კლასიფიცირებული „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაში“. კერძოდ: სოფელ ვეჯინში ხევზე გადასასვლელი ხიდის მოწყობა, კომპიუტერული ტექნიკის შეძენა, ქ.გურჯაანის ადმინისტრაციული შენობის სახურავის რეაბილიტაცია, სოფელ ველისციხეში წყლის სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები, სხვადასხვა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვა და სხვ.

შესყიდვების მართვა

გურჯაანის მუნიციპალიტეტმა 2013-2014 წლებში ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და პროექტებისათვის საჭირო სამუშაოს, საქონლისა და მომსახურების შესყიდვა განახორციელა 442 გამარტივებული შესყიდვის, 126 გამარტივებული ელექტრონული ტენდერის, 84 ელექტრონული ტენდერისა და 11 კონსოლიდირებული ტენდერის მეშვეობით.

ცხრილი №3. 2013-2014 წლების სახელმწიფო შესყიდვები

შესყიდვის საშუალება	2013 წელი		2014 წელი		სულ	
	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა
გამარტივებული შესყიდვა	229	2 751 658	213	1 664 670	442	4 416 328
გამარტივებული ელექტრონული ტენდერი	63	444 733	63	901 339	126	1 346 072
ელექტრონული ტენდერი	44	6 753 100	40	3 138 181	84	9 891 281
კონსოლიდირებული ტენდერი	8	217 898	3	30 349	11	248 247
სულ:	344	10 167 389	319	5 734 539	663	15 901 928

აღნიშნული შესყიდვების დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, აუდიტის ჯგუფმა გამოავლინა სხვადასხვა ხასიათის ხარვეზები, რომელთა გამოსწორება მომავალში საჭიროა მუნიციპალიტეტის მიერ.

პრეტენდენტების დისკვალიფიკაცია

2013-2014 წლებში გურჯაანის მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებული ტენდერები ხასიათდებოდა ხარვეზებით. სატენდერო კომისიას შესყიდვებში მონაწილე პრეტენდენტების მიმართ გააჩნდა არაერთგვაროვანი მიდგომა. რიგ შემთხვევებში ხდებოდა სატენდერო მოთხოვნებთან შესაბამისი გამოცდილების მქონე პრეტენდენტების

⁵ 2013 წელი - 71.4 ათასი ლარი; 2014 წელი - 39.6 ათასი ლარი.

არასამართლიანი დისკვალიფიკაცია, ხოლო სხვა შემთხვევაში იმარჯვებდნენ არასაკმარისი გამოცდილების მქონე პრეტენდენტები. კერძოდ:

❖ 2014 წლის 22 იანვარს გურჯაანის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების შესყიდვის მიზნით, სავარაუდო ღირებულებით - 63.7 ათასი ლარი. სატენდერო კომისიამ მოახდინა ტენდერში მონაწილე ყველა პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია ტექნიკური დოკუმენტაციის, მათ შორის, სათანადო გამოცდილების სატენდერო მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო, თუმცა, ტენდერში მონაწილე 2 პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ტექნიკურ დოკუმენტაციაში ნათლად ჩანს მონაწილეთა გამოცდილება, რომელიც შესაბამისობაშია სატენდერო მოთხოვნებთან. მათ შორის, დისკვალიფიცირებულმა შპს „ხორანთა“-მა დააფიქსირა მიწოდების ღირებულება 30.8 ათასი ლარი. აღნიშნული მომსახურების შესყიდვაზე 2014 წლის 17 თებერვალს ხელახლა გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი. ვაჭრობის შედეგად ყველაზე დაბალი სატენდერო ფასი წარმოადგინა შპს „გეომეფმა“ – 59.99 ათასი ლარი და გაუფორმდა ხელშეკრულება. ტენდერების შედარებით გამოვლინდა, რომ პირველ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი - შპს „ხორანთა“ კომისიამ არასამართლიანად მოხსნა ტენდერიდან, რის გამოც მუნიციპალიტეტმა ხელახალ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმებით, 29.2 ათასი ლარით მეტი ხარჯი გაწია.

❖ 2013 წლის 3 ივლისს მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადდა სოფელ კარდენახში „მღვრიე ხევის“ ნაპირსამაგრი სამუშაოების შესყიდვა, სავარაუდო ღირებულებით - 200.0 ათასი ლარი (CPV კოდი 45246200 - მდინარის ნაპირის დამცავი სამუშაოების წარმოება). სატენდერო დოკუმენტაციით პრეტენდენტებს უნდა წარმოედგინათ ინფორმაცია მსგავსი სამუშაოების გამოცდილების შესახებ მინიმუმ 50.0 ათასი ლარის ღირებულებით. ვაჭრობის შედეგად ყველაზე დაბალი ფასი წარმოადგინა ი/მ „ალაზა გაბიდაურმა“- 172.3 ათასი ლარი და გაუფორმდა ხელშეკრულება. თუმცა გამარჯვებულ პრეტენდენტს ნაცვლად CPV კოდით 45246200 წარმოსადგენი მსგავსი სამუშაოების გამოცდილების შესახებ ინფორმაციისა, ატვირთული ჰქონდა ხეების გაწმენდის სამუშაოების გამოცდილება - თანხით 53.2 ათასი ლარი, რომელიც მიეკუთვნებოდა სხვა სამუშაოების თანრიგს - CPV კოდი 90641000. აღნიშნულით, სატენდერო კომისიას კანონმდებლობის შესაბამისად, უნდა მოეხდინა პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.

❖ 2013 წლის 12 ნოემბერს მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი გზის შეკეთების სამუშაოებზე, სავარაუდო ღირებულებით - 5.4 ათასი ლარი (კლასიფიკატორის კოდი 45233142). სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნით პრეტენდენტს უნდა წარმოედგინა ინფორმაცია 2010 წლიდან 50.0 ათასი ლარის ღირებულების მსგავსი სამუშაოების გამოცდილების შესახებ. ელექტრონულ ვაჭრობაში ყველაზე დაბალი სატენდერო წინადადების ფასი წარმოადგინა ი/მ „ზაქრო არაყიშვილი“-მ და გაუფორმდა ხელშეკრულება, თუმცა სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად, მსგავსი სამუშაოების შესრულების გამოცდილება არ ჰქონდა. კერძოდ, სულ წარმოადგინა 59.8 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოს გამოცდილება. აქედან ხევის გაწმენდის სამუშაოებისა - (კლასიფიკატორის კოდი 90640000) 15.8 ათასი ლარი, ხოლო გზებთან დაკავშირებული

სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 44.0 ათასი ლარი. აღნიშნული მონაცემებით, კანონმდებლობის შესაბამისად, პრეტენდენტი ექვემდებარებოდა დისკვალიფიკაციას.

ზემოთ აღნიშნული მაგალითებიდან გამომდინარე, ერთ შემთხვევაში სატენდერო კომისიამ მოახდინა პრეტენდენტის არასამართლიანი დისკვალიფიკაცია, ხოლო სხვა შემთხვევებში იმარჯვებდნენ არასაკმარისი გამოცდილების მქონე პრეტენდენტები.

მიწოდების ვადები

❖ 2013-2014 წლებში გურჯაანის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდა 123 გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, აქედან 73 ტენდერი (59%) ჩატარდა უკონკურენტო გარემოში. მხოლოდ ერთი პრეტენდენტის მონაწილეობით ჩატარდა ისეთი შესყიდვები, რომლებიც, როგორც წესი, ხასიათდება მაღალი კონკურენციით: კომპიუტერული მოწყობილობებისა და აქსესუარების, საოფისე მანქანა-დანადგარების, საკანცელარიო საქონლის, ავეჯისა და სატრანსპორტო საშუალებების მიწოდება, სკვერის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა, ასევე სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ორგანიზება და სხვ. დაბალ კონკურენციას შესაძლოა ხელს უწყობდეს ის გარემოება, რომ სატენდერო წინადადების გასაცნობად მუნიციპალიტეტის მიერ პრეტენდენტებისათვის განკუთვნილია დროის მცირე მონაკვეთი. კერძოდ, უკონკურენტო გარემოში ჩატარებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერებიდან, სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობის ვადად გამოყენებულია 2-დან 5 დღემდე. იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტს არ გააჩნია შეზღუდულ ვადაში საქონლის/მომსახურების შესყიდვის აუცილებლობა, სასურველია დააწესოს ინფორმაციის გაცნობის არა მინიმალური ვადები, არამედ გაზარდოს პერიოდი, რაც შეიძლება მეტი პრეტენდენტის ინფორმირების მიზნით.

❖ 2014 წელს გამოცხადდა გამარტივებული ელტენდერი სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე, სავარაუდო ღირებულებით - 31.8 ათასი ლარი. ტენდერზე ერთადერთმა პრეტენდენტმა, შპს „ჯი-ემ-ჯი“ წარმოადგინა სატენდერო წინადადება თანხით 23.5 ათასი ლარი. შემსყიდველმა პრეტენდენტს ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების ვადად განუსაზღვრა 1 დღე. მიმწოდებელმა სატენდერო წინადადების შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაცია ატვირთა 17 წუთის დაგვიანებით, რაც გახდა საფუძველი მისი დისკვალიფიკაციისა და ტენდერი დამთავრდა უარყოფითი შედეგით. მოგვიანებით ხელმეორედ იქნა გამოცხადებული ტენდერი, სადაც ასევე შპს „ჯი-ემ-ჯი“ იყო ერთადერთი პრეტენდენტი. ამჯერად მან წარმოადგინა სატენდერო წინადადება 31.8 ათას ლარზე. სატენდერო კომისიამ მოიწონა პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გაუფორმა ხელშეკრულება. უნდა აღინიშნოს, რომ შემსყიდველს პირველი ტენდერის დროს შეეძლო კანონმდებლობის შესაბამისად ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების ვადად განესაზღვრა არა მინიმალური ვადა, არამედ მაქსიმუმ 3 დღე, რითაც სავარაუდოდ დაზოგავდა 8.3 ათას ლარს.

გადაუდებელი აუცილებლობა

გურჯაანის მუნიციპალიტეტმა გამარტივებული შესყიდვით 2013 წლის 11 იანვარსა და 31 დეკემბერს, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით გააფორმა 2 ხელშეკრულება შპს

„სერვისი +“-თან. შესყიდვა მოიცავდა დაგვა-დასუფთავების ღონისძიებებს, ღირებულებით - 62.0 ათასი ლარი.

კანონმდებლობის შესაბამისად, გადაუდებელი აუცილებლობა არის ვითარება, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას და რომელიც არ შეიძლება ყოფილიყო წინასწარ განსაზღვრული, ან/და რომლის დადგომა არ არის გამოწვეული შემსყიდველი ორგანიზაციის ქმედებით, ან რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს საქართველოს სახელმწიფო, ან/და საზოგადოებრივ ინტერესებს, ან შემსყიდველი ორგანიზაციის ქონებას. შესყიდვის განხორციელების კონკრეტული მოტივი არ შეიძლება ჩაითვალოს გადაუდებელ აუცილებლობად, რადგან მისი განსაზღვრა, წინასწარი დაგეგმვა და ელექტრონული ტენდერის გზით შესყიდვა, რეალურად შესაძლებელი იყო.

მიმწოდებლების შერჩევა

შესყიდვების კანონმდებლობის მიხედვით, საბიუჯეტო ორგანიზაცია ვალდებულია რაციონალურად და მუნიციპალიტეტის ინტერესების გათვალისწინებით განახორციელოს შესყიდვა⁶. აგრეთვე უზრუნველყოს საბიუჯეტო სახსრების ეკონომიური ხარჯვა და მუნიციპალიტეტის საჭიროებისათვის საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნა. აღნიშნული მიზნების მისაღწევად სასურველია გაითვალისწინოს მსგავსი შესყიდვების გამოცდილება, ჩაატაროს სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის, ბაზრის კვლევა, რაც საშუალებას მისცემს განსაზღვროს შესყიდვის სავარაუდო ღირებულება, შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობები, მოიძიოს და გამოავლინოს პოტენციური მიმწოდებლები⁷. ადგილობრივი ბაზრის შესწავლა მუნიციპალიტეტს საშუალებას მისცემს შეარჩიოს მიმწოდებელი შესყიდვის შესაძლო საუკეთესო პირობებით ხარისხისა და ეკონომიური ფასის ოპტიმალური შეხამებით. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამარტივებული შესყიდვის განხორციელების დროს, რომელიც, როგორც წესი, შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გარეშე მიმდინარეობს და შესაბამისად, შესყიდვათა პროცესი ნაკლებად გამჭვირვალეა.

მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წელს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით 40 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 354.6 ათასი ლარი, გაფორმდა ისეთ მიმწოდებლებთან, რომლებიც დარეგისტრირებულები იყვნენ ხელშეკრულების დადებამდე 2-დან 36 დღით ადრე. მათ მიერ შესრულებულია ისეთი სამუშაოები, როგორიცაა ხევის გაწმენდა, გზების რეაბილიტაცია, წყლის სისტემისა და გარე განათების მოწყობა, სახურავების რეაბილიტაცია და სხვ. გარდა ამისა, საანგარიშგებო პერიოდში მუნიციპალიტეტმა გამარტივებული შესყიდვის გზით გააფორმა 1 666.1 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულებები 50 ისეთ მიმწოდებელთან, რომლებიც ბოლო 2-3 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის კონტრაქტორები არ ყოფილან.

⁶ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 7.

⁷ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 9.

გზების კაპიტალური მოწყობა

სოფელ კაჭრეთის გზის მოწყობა

2013 წლის 9 აგვისტოს გურჯაანის მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გააფორმა შპს „MSHEN-GROUP მშენ-გროუფ“-თან, სოფელ კაჭრეთში ცენტრალური გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე, რომლის ღირებულება შეადგენდა 399.99 ათას ლარს. მიწოდების ვადა განისაზღვრა 2013 წლის 8 ნოემბრამდე.

2013 წლის 19 ნოემბერს, მხარეებს შორის გაფორმებული შეთანხმებით, ხელშეკრულების მოქმედების ვადა გადაიწია 2013 წლის 15 დეკემბრამდე, თუმცა სამუშაოების მიწოდების ვადა უცვლელი დარჩა⁸.

ინსპექტირების ჯგუფმა 2013 წლის 3 დეკემბერს დაათვალიერა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. წარმოდგენილი დოკუმენტით ირკვევა, რომ ასფალტი იყო უხარისხოდ დაგებული. ობიექტზე ექსპერტიზის ჩატარების მიზნით, 13 დეკემბერს მხარეთა შორის განხორციელებული მორიგი შეთანხმებით, ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაიზარდა 31 დეკემბრამდე. 2013 წლის 28 დეკემბერს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნით დადგინდა, რომ ასფალტის საფარის 339.6 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები არ შეესაბამება სტანდარტებს⁹. აღსანიშნავია, რომ მომზადებულ დასკვნაში ექსპერტიზა არ გამოთქვამს მოსაზრებას ფარულ სამუშაოებთან დაკავშირებით, რადგან მას არ მიეწოდა შესაბამისი დოკუმენტაცია. დასკვნის მიხედვით, შესრულებული სამუშაოების ხილული ნაწილის მოცულობები შეესაბამებოდა ფორმა №2-ში მითითებულ მოცულობებს.

ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, 2013 წლის 30 დეკემბერს მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება მიმწოდებლისათვის აენაზღაურებინა შესრულებული სამუშაოს 70% (279.9 ათასი ლარი). ვინაიდან მიმწოდებელს ავანსად მიღებული ჰქონდა სახელშეკრულებო ღირებულების 30%¹⁰, დამატებით აუნაზღაურდა - 40% (159.5 ათასი ლარი). ამავდროულად ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდა 2014 წლის 1 აგვისტომდე¹¹.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინსპექტირების ჯგუფმა გამოავლინა უხარისხოდ შესრულებული სამუშაო, რაც დაადასტურა ექსპერტიზამ. შედეგად, მუნიციპალიტეტს ჰქონდა ობიექტური მიზეზი მოეთხოვა გარანტიების¹² მოქმედების ვადის გადაწევა საგარანტიო თანხების მიღების მიზნით. ასევე, სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობისათვის უნდა შეეწყვიტა ხელშეკრულება. ნაცვლად ამისა, მუნიციპალიტეტმა დაკარგა 136.0 ათასი ლარის საგარანტიო თანხის მოთხოვნის უფლება და უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოში გადაიხადა 279.5 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლის 21 მაისს შპს „MSHEN-GROUP მშენ-გროუფ“-მა მიმართა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“, დეფექტების გამოსწორებისათვის რეკომენდაციის მისაღებად. ექსპერტიზის დასკვნით, დეფექტების აღმოსაფხვრელად უმჯობესი იყო გზის მთლიან ფართობზე განხორციელებულიყო 3 სმ სისქის წვრილმარცვლოვანი ნარევის დაგება. ასევე, დამკვეთის

⁸ საჯარიმო სანქცია 2013 წლის 8 ნოემბრიდან 11 დეკემბრამდე დაერიცხა 52.8 ათას ლარი.

⁹ ასფალტის საფარის ზედა და ქვედა ფენის მოწყობის სამუშაოები .

¹⁰ 2013 წლის 22 აგვისტოს გადაერიცხა ავანსი, თანხით - 120.0 ათასი ლარი, ხოლო ავანსის გარანტიის მოქმედების ვადა იყო 2013 წლის 15 დეკემბრამდე.

¹¹ საჯარიმო სანქცია 2014 წლის 1 იანვრიდან 1 აგვისტომდე დაერიცხა 102.2 ათას ლარი.

¹² ხელშეკრულების შესრულების გარანტია - 16.0 ათასი ლარი და ავანსის გარანტია - 120.0 ათასი ლარი.

თანხმობის შემთხვევაში შესაძლებელი იყო ორმული შეკეთება. მიუხედავად ამისა, მიმწოდებელმა მუნიციპალიტეტის თანხმობის გარეშე თვითნებურად შეასრულა ორმული შეკეთება, რის გამოც მუნიციპალიტეტმა არ ჩაიბარა ობიექტი. დღეის მდგომარეობით საკითხის მოსაგვარებლად შემსყიდველის მხრიდან რაიმე ქმედითი ღონისძიება არ არის გატარებული.

ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებული სამუშაო

გურჯაანის მუნიციპალიტეტმა 2013 წლის 9 აგვისტოს და 23 სექტემბერს ხელშეკრულებები გააფორმა შპს Fin-Estate-თან, ჩუმლაყი-ყიტაანის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე, ღირებულებით - 775.1 ათასი ლარი, ხოლო კაჭრეთი-ჯიმიტი-ნანიანი-არაშენდის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე - 1 660.0 ათასი ლარი. სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, მიმწოდებელს უნდა წარმოედგინა ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის შესახებ, აგრეთვე ქვეკონტრაქტორს არ ჰქონდა უფლება შეესრულებინა სამუშაოების მთლიანი მოცულობის 40%-ზე მეტი.

აუდიტის მსვლელობის დროს, აუდიტის ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე, მიმწოდებელმა წარმოადგინა ქვეკონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულებები და შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი სასაქონლო ზედნადებები. დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები სრულად შეასრულა ქვეკონტრაქტორმა - შპს TRANS MOBIL-მა, რაც არ შეესაბამებოდა სატენდერო მოთხოვნებს. მიმწოდებლის მიერ აღნიშნული ინფორმაცია მუნიციპალიტეტს არ მიეწოდა.

აუდიტის ჯგუფის მიერ გადამოწმებულ იქნა, გამოყენებული იყო თუ არა იმ მოცულობის მასალა, რაც დაფიქსირებულია შესრულებული სამუშაოების აქტებში. გამოვლინდა, რომ დოკუმენტურად არ დასტურდება, დაახლოებით, 91.8 ათასი ლარის მასალის გამოყენება. კერძოდ,

- ❖ ჩუმლაყი-ყიტაანის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე შესრულებული სამუშაოების აქტებში დაფიქსირებულია 7139 ტონა ბალასტისა და 4483 ტონა ასფალტ-ბეტონის გამოყენება, ხოლო სასაქონლო ზედნადებებით შეადგინა - 5256 ტონა ბალასტი და 4308 ტონა ასფალტ-ბეტონი. შედეგად, არ დასტურდება 1883 ტონა ბალასტისა და 175 ტონა ასფალტ-ბეტონის გამოყენება.
- ❖ კაჭრეთი-ჯიმიტი-ნანიანი-არაშენდას გზის მშენებლობაზე შესრულებული სამუშაოების აქტებში დაფიქსირებულია 6490 კუბ.მ ბალასტისა და 2430 ტონა ღორღის გამოყენება, ხოლო სასაქონლო ზედნადებებით შეადგინა 5220 კუბ.მ ბალასტი და 2265 ტონა ღორღი. შედეგად, არ დასტურდება 1270 კუბ.მ ბალასტისა და 165 ტონა ღორღის გამოყენება.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტში არსებულმა შესყიდვების მართვამ და დანერგილმა კონტროლის მექანიზმებმა ვერ უზრუნველყო გამოევლინა ზემოთ აღნიშნული გარემოებები. შედეგად, შეუსრულებელი სამუშაოებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ზედმეტად გადახდილია 91.8 ათასი ლარი.

სპორტდარბაზის მშენებლობა

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 აგვისტოს №1105 განკარგულებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გურჯაანის მუნიციპალიტეტს გამოეყო 225.1 ათასი ლარი სოფელ შაშიანის საჯარო სკოლაში სპორტული დარბაზის მშენებლობისათვის.

2013 წლის 28 ნოემბერს მუნიციპალიტეტმა გააფორმა ხელშეკრულება შპს „ჯორჯიან ინჟინირინგთან“ სოფელ შაშიანის საჯარო სკოლაში სპორტული დარბაზის მშენებლობაზე, ღირებულებით - 224.9 ათასი ლარი. წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების აქტებით, მიმწოდებელმა განახორციელა სამშენებლო სამუშაოები სრული სახელშეკრულებო ღირებულებით, რის საფუძველზეც მუნიციპალიტეტმა ობიექტი ჩაიბარა 2013 წლის 25 დეკემბერს და აუნაზღაურა შესაბამისი თანხა.

აუდიტის ჯგუფის მიერ ობიექტის დათვალიერებით გამოვლინდა, რომ სპორტული დარბაზი დაუსრულებელია და არ არის ექსპლუატაციაში. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული განპირობებულია იმით რომ ობიექტის მშენებლობის მხოლოდ პირველი ეტაპი დასრულდა. მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხით გათვალისწინებული იყო სპორტდარბაზის მშენებლობა. თუ მუნიციპალიტეტმა დაგეგმა ისეთი მასშტაბის პროექტი, რომლის მშენებლობის დასასრულებლად გამოყოფილი თანხა არ იყო საკმარისი, მაშინ მას უნდა მოეძიებინა დამატებითი ფულადი საშუალებები. მიუხედავად იმისა, რომ 2013 წელს დაიხარჯა 224.9 ათასი ლარი, მოსახლეობა ვერ სარგებლობს აღნიშნული სიკეთით.

აღსანიშნავია, რომ დღეის მდგომარეობით ფასადის კედლები დაზიანებულია და საჭიროებს შეკეთებას. მუნიციპალიტეტმა უნდა დაადგინოს დაზიანებების გამომწვევი მიზეზები. სამუშაოების უხარისხოდ შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს მიმწოდებლისგან ხარვეზების გამოსწორება საკუთარი ხარჯებით, ხოლო მექანიკური ზემოქმედებით მიყენებული ზიანის შემთხვევაში - გაატაროს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები. მუნიციპალიტეტის მიერ დღემდე არ მომხდარა არსებული პრობლემის გადასაჭრელად ქმედითი ღონისძიების გატარება.

კაჭრეთის ჭაბურღილის მოწყობა

2014 წლის 5 ივნისს მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გაუფორმა შპს „გეოკორს“ სოფელ კაჭრეთში ჭაბურღილის მოწყობაზე, ღირებულებით - 89.9 ათასი ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტებით, ობიექტის მიღება-ჩაბარება გაფორმდა 2014 წლის 4 აგვისტოს, მიმწოდებელს აუნაზღაურდა სრული სახელშეკრულებო ღირებულება.

აუდიტის ჯგუფმა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა ობიექტი. მოსახლეობასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ მათი ნაწილი ვერ სარგებლობდა ჭაბურღილით, ხოლო მეორე ნაწილს შეფერხებით მიეწოდებოდა წყალი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, არსებული ჭაბურღილიდან წყლის ამოღებას აფერხებდა ტუმბოს გაუმართაობა. ხელშეკრულების მიხედვით, სამუშაოების დასრულების შემდეგ 2 წლის განმავლობაში რაიმე წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით. რამდენჯერმე შეკეთების მიუხედავად, ტუმბო ვერ უზრუნველყოფდა სტაბილურად წყლის ამოღებას,

შედეგად მოსახლეობა ვერ სარგებლობდა აღნიშნული სიკეთით. აუდიტის ჯგუფის მიერ გამოვლენილი ხარვეზის შემდეგ, პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მუნიციპალიტეტმა გაატარა შესაბამისი ღონისძიებები. დღეის მდგომარეობით აღნიშნული პრობლემა მოგვარებულია.

სამუშაოების ანაზღაურება ფაქტობრივი დანახარჯების შესაბამისად

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილების¹³ თანახმად, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია გამარტივებული წესით შესყიდული სამშენებლო სამუშაოების ღირებულება ანაზღაუროს მეწარმის მიერ ფაქტობრივად გაწეული დანახარჯების შესაბამისად. ასევე დაქირავებულ მანქანა-მექანიზმებს არ დაარიცხოს ზედნადები ხარჯები და გეგმიური დაგროვება.

2013-2014 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ სულ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული 316 ხელშეკრულების ფარგლებში შესყიდულია 4 017.0 ათასი ლარის ღირებულების სამშენებლო სამუშაოები. საანგარიშგებო პერიოდში გურჯაანის მუნიციპალიტეტი არ ითხოვდა მიმწოდებლებისგან ფაქტობრივი დანახარჯების შესახებ დოკუმენტაციას. აღნიშნული წარმოშობს რისკს იმისა, რომ საბიუჯეტო სახსრები ზედმეტად იქნა დახარჯული. მუნიციპალიტეტმა აუდიტის ჯგუფს მოთხოვნის საფუძველზე წარმოუდგინა შესრულებული სამუშაოების ფაქტობრივი დანახარჯების შესახებ დოკუმენტაცია, რომელიც გაფორმებული ხელშეკრულებების მხოლოდ 6%-ს მოიცავდა, ღირებულებით - 858.3 ათასი ლარი. ზოგიერთი დოკუმენტი ვერ იქნა სრულად წარმოდგენილი, რის გამოც ვერ მოხერხდა მასალების, მანქანა-მექანიზმებისა და ხელფასების ფაქტობრივი დანახარჯების სრულად გამიჯვნა, ხოლო გამიჯნული ნაწილის დათვლის შედეგად გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ კანონმდებლობის დარღვევით ანაზღაურებულია 35.1 ათას ლარზე მეტი. კერძოდ, მასალების ღირებულება წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახულია 14.1 ათას ლარით ნაკლები, დაქირავებულ მანქანა-მექანიზმებზე დარიცხულია ზედნადებისა და გეგმიური მოგების პროცენტი - სულ, 21.0 ათას ლარზე მეტი¹⁴.

ვინაიდან აუდიტის ჯგუფისათვის მიწოდებული ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია არასრულყოფილია, ხოლო წარმოდგენილ ნაწილში გამოვლინდა უზუსტობები, საჭიროა მუნიციპალიტეტმა შეასრულოს აღნიშნული ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნები. შეუსაბამოების არსებობის ან დოკუმენტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, თვითმმართველმა ერთეულმა გაატაროს სამართლებრივი ღონისძიებები.

¹³ 2013 წელს მოქმედებდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №1-1/1463 ბრძანება „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის შესახებ“

¹⁴ 2013 წელი - ხელშ. №: 223, 214, 241, 163, 162, 164, 245; 2014 წელი - ხელშ. №: 174, 79, 84, 153, 154, 155, 156, 157, 158, 159, 238, 239, 249.

დაურიცხავი პირგასამტეხლო

2013-2014 წლებში შესყიდვების დროს გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული იყო პირგასამტეხლოს დარიცხვა. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტმა არ მოახდინა შემსრულებლების დაჯარიმება.

გეგმა-გრაფიკი

2013 წელს გურჯაანის მუნიციპალიტეტის მიერ 4 შემთხვევაში სატენდერო დოკუმენტაციითა და გაფორმებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული იყო სამუშაოების შესრულება გეგმა-გრაფიკის მიხედვით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევდა მიმწოდებლის დაჯარიმებას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.4%-ით. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით გამოვლინდა, რომ 4 ხელშეკრულების ფარგლებში სამუშაოები გეგმა-გრაფიკის მიხედვით არ განხორციელებულა. აღნიშნული პირობის დარღვევისათვის მიმწოდებლებს პირგასამტეხლო უნდა დარიცხვოდა 513 ათას ლარზე მეტი ოდენობით. კერძოდ,

- ❖ სოფელ მელაანის გზის მოწყობაზე ხელშეკრულება გაფორმდა შპს „კავკასიავტომაგისტრალთან“ ღირებულებით 950.0 ათასი ლარი. თანდართული გეგმა-გრაფიკის მიხედვით 2013 წლის სექტემბერ-ნოემბერში უნდა განხორციელებულიყო 700.0 ათასი ლარის, ხოლო 2014 წლის აპრილ-მაისში - 250.0 ათასი ლარის სამუშაოს შესრულება. მიმწოდებელმა სამუშაოები გეგმა-გრაფიკის დარღვევით შეასრულა. დასარიცხი პირგასამტეხლო შეადგენდა 130 ათას ლარზე მეტს.
- ❖ გურჯაანი-არაშენდას გზის მოწყობაზე ხელშეკრულება გაფორმდა შპს „გზამშენი 2005-თან“ ღირებულებით 906.6 ათასი ლარი. თანდართული გეგმა-გრაფიკის მიხედვით, 2013 წლის სექტემბერ-დეკემბერში უნდა განხორციელებულიყო 800.0 ათასი ლარის, ხოლო 2014 წლის აპრილ-მაისში - 106.6 ათასი ლარის სამუშაოს შესრულება. მიმწოდებლის მიერ სამუშაოების გეგმა-გრაფიკით შეუსრულებლობის გამო დასარიცხი პირგასამტეხლო შეადგენდა 320 ათას ლარზე მეტს.
- ❖ სოფლების კაჭრეთი-ჯიმიტი-ნანიანი-არაშენდას გზის მოწყობაზე ხელშეკრულება გაფორმდა შპს „Fin-Estate“-თან ღირებულებით 1660.0 ათასი ლარი. მიმწოდებელმა სამუშაოები გეგმა-გრაფიკის დარღვევით შეასრულა. დასარიცხი პირგასამტეხლო შეადგენდა 16 ათას ლარზე მეტს.
- ❖ სოფელ კალაურში ხიდის მოწყობაზე ხელშეკრულება გაფორმდა შპს „ვანტთან“ ღირებულებით 448.4 ათასი ლარი. მიმწოდებელმა სამუშაოები შეასრულა თანდართული გეგმა-გრაფიკის დარღვევით. დასარიცხი პირგასამტეხლო შეადგენდა 47 ათას ლარზე მეტს¹⁵.

¹⁵ მიმწოდებლის მიერ ზოგიერთი სამუშაო გეგმა-გრაფიკთან შედარებით შესრულებულია წინსწრებით, რომელიც აღნიშნულ გაანგარიშებაში გამოკლებულია შეუსრულებელ სამუშაოეზე. იმ შემთხვევაში თუ არ გავითვალისწინებთ წინსწრებით შესრულებულ სამუშაოს, დასარიცხი პირგასამტეხლო დაახლოებით 60.0 ათასი ლარი იქნებოდა.

ვადის უსაფუძვლოდ გადაწევა

❖ გურჯაანის მუნიციპალიტეტმა 2013 წლის 2 სექტემბერს ხელშეკრულება გააფორმა შპს „გზამშენი 2005“-თან გურჯაანი-არაშენდას გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, ღირებულებით 906.6 ათასი ლარი. მიწოდების ვადა განისაზღვრა 2014 წლის 1 ივნისამდე. შემსყიდველმა მიმწოდებელს უამინდობის მიზეზით, 45 დღით გადაუწია ობიექტის მიწოდების ვადა, თუმცა მუნიციპალიტეტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი რაიმე დოკუმენტური მტკიცებულება ვადის გადაწევის მიზეზის შესახებ. აღნიშნული მოტივი არ უნდა გამხდარიყო ვადის გადაწევის საფუძველი. ვინაიდან მიმწოდებელმა სამუშაოები დაამთავრა 2014 წლის 11 ივლისს, მუნიციპალიტეტის მიერ დასარიცხი პირგასამტეხლოს ოდენობამ შეადგინა 63.8 ათასი ლარი¹⁶.

❖ 2013 წლის 20 მაისს გურჯაანის მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გააფორმა შპს „MSHEN-GROUP მშენ-გროუფ“-თან მოედნისა და გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, ღირებულებით - 39.5 ათასი ლარი. სამუშაოების მიწოდების ვადა განისაზღვრა 45 დღით - 2013 წლის 5 ივლისამდე. მიმწოდებლის მოთხოვნით ხელშეკრულების გაფორმებიდან 39 დღის შემდეგ, მომხდარი სტიქიისა და დაგეგმულ ქვაფენილზე მძიმე მანქანის გადავლის მოტივით, სამუშაოების მიწოდების ვადა გაგრძელდა 31 ივლისამდე. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტს არ ჰქონდა სამუშაოების მიწოდების ვადის გადაწევის ობიექტური მიზეზი, რადგან ქვაფენილის მოწყობის სამუშაოების ღირებულება შეადგენდა მხოლოდ 0.4 ათას ლარს¹⁷, ხოლო სამუშაოები დასრულდა შეთანხმებული ვადის დარღვევით, 2013 წლის 5 სექტემბერს. შესაბამისად, მუნიციპალიტეტს მიმწოდებლისათვის პირგასამტეხლოს სახით ნაცვლად 1.3 ათასი ლარისა¹⁸, უნდა დაერიცხა 5.3 ათასი ლარი¹⁹, ანუ 4.0 ათასი ლარით მეტი.

❖ მუნიციპალიტეტმა 2013 წლის 8 აგვისტოს ხელშეკრულება გააფორმა ი/მ „ალაზა გაბიდაურთან“ ნაპირსამაგრი სამუშაოების შესყიდვაზე, თანხით 172.3 ათასი ლარი. ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრა 8 ოქტომბრამდე. 2013 წლის 26 აგვისტოს გაფორმდა შეთანხმება, რომლის თანახმადაც სამუშაოების მიწოდების ვადა გაიზარდა 30 დღით - 7 ნოემბრამდე. ვადის გადაწევის საფუძველი გახდა მიმწოდებლის მოთხოვნა, სადაც განმარტავს, რომ მას არ გააჩნია ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული გაბიონის მოწყობისათვის საჭირო გალვანიზირებული ლითონის ნაქსოვი კალათები²⁰. შემდეგი შეთანხმება გაფორმდა 6 ნოემბერს და ვადა გადაიწია 30 დღით, ამჯერად კლიმატური პირობების გაუარესების მოტივით. ვინაიდან მიმწოდებლისათვის ტენდერის მიმდინარეობის პროცესში ცნობილი იყო სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო მასალები, ვადის გადაწევა ზემოთ აღნიშნული მიზეზით არ შეიძლება ჩაითვალოს ობიექტურად. შესაბამისად, მიმწოდებელს ამინდის გაუარესების გამო, ვადის გადაწევაც არ

¹⁶ შეუსრ. სამუშაო - 719.6 ათასი ლარი X 0,4% X 1 დღე; შეუსრ. სამუშაო - 560.6 ათასი ლარი X 0,4% X 15 დღე; შეუსრ. სამუშაო - 349.6 ათასი ლარი X 0,4% X 10 დღე; შეუსრ. სამუშაო - 237.8 ათასი ლარი X 0,4% X 14 დღე.

¹⁷ 2013 წლის 31 ივლისს (ხელშეკრულების გაფორმებიდან 72 დღეში) გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით, შესრულებულია სახელშეკრულებო ღირებულების მხოლოდ 19.7% (7.8 ათასი ლარი) სამუშაო.

¹⁸ 2013 წლის 31 ივლისიდან 5 სექტემბრამდე.

¹⁹ 2013 წლის 5 ივლისიდან 5 სექტემბრამდე.

²⁰ უჯრედის ზომით 8X10 სმ და სისქით 3 სმ.

დასჭირდებოდა. შედეგად, ვადის უსაფუძვლოდ გადაწვევის მიზეზით, დაურიცხავი პირგასამტეხლო შეადგენს 41.3 ათასი ლარს²¹.

სუბიექტური გადაწყვეტილება

2014 წელს 2 შემთხვევაში, მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს სამუშაოების დასრულების ვადა არაობიექტური მოტივით გადაუწია, ხოლო 1 შემთხვევაში დაუსრულებელი ობიექტი ჩაიბარა. შედეგად მუნიციპალიტეტმა მიიღო მიმწოდებლის სასარგებლო გადაწყვეტილება, რომ ობიექტის მიწოდების ვადის გადაცილებაზე არ დაერიცხა პირგასამტეხლო.

❖ გურჯაანის მუნიციპალიტეტის მიერ 2014 წლის 4 ივნისს ი/მ „გურამ მამუკაშვილთან“ გაფორმდა ხელშეკრულება სოფელ მუკუხანში ჭაბურღილის მოწყობაზე, თანხით - 51.7 ათასი ლარი. ობიექტის მიწოდების ვადის გასვლამდე ერთი დღით ადრე, 4 ივლისს ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებით, სამუშაოს შესრულების ვადა ერთი თვით გაგრძელდა - 2014 წლის 5 აგვისტომდე. ვადის გადაწვევის საფუძველი გახდა მიმწოდებლის მიმართვა, რომელშიც ითხოვდა ლითონის მილის ჩანაცვლებას პლასტმასით. თუმცა წარმოდგენილი სამუშაოს შესრულების აქტებით ირკვევა, რომ გამოყენებულია ლითონის მილები, რასაც ასევე ადასტურებს პასუხისმგებელი პირი წერილობითი განმარტებით. რადგან მიმწოდებელმა სამუშაოები დაასრულა 2013 წლის 22 ივლისს²², ხელშეკრულების თანახმად, შემსყიდველს უნდა დაერიცხა პირგასამტეხლო - 5.4 ათასი ლარი²³.

❖ 2014 წლის 4 ივნისს მუნიციპალიტეტმა გაუფორმა ხელშეკრულება ი/მ „გურამ მამუკაშვილს“, სოფელ ჩუმლაყში ჭაბურღილის მოწყობასა და სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, თანხით - 84.0 ათასი ლარი. ხელშეკრულებით ობიექტის მიწოდების ვადა იყო 20 ივლისი. 2013 წლის 17 ივლისის შეთანხმებით გადაწეულ იქნა სამუშაოს მიწოდების ვადა 14 აგვისტომდე, საგზაო დეპარტამენტიდან სამუშაოს გაგრძელებაზე ნებართვის დაგვიანების მიზეზით. თუმცა ნებართვა სამუშაოების გაგრძელებაზე მუნიციპალიტეტში შემოსულია 2014 წლის 23 ივნისს²⁴. რადგან მიმწოდებელმა სამუშაოები დაასრულა 14 აგვისტოს, ხელშეკრულების შესაბამისად, შეუსრულებელ სამუშაოზე უნდა დარიცხოდა პირგასამტეხლო - 21.0 ათასი ლარი²⁵.

❖ 2014 წლის 18 ნოემბერს მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გაუფორმა შპს „თიდას“, სოფელ ჭანდარში ადმინისტრაციული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად, თანხით 6.9 ათასი ლარი. ხელშეკრულების თანახმად, ობიექტის მიწოდება უნდა მომხდარიყო 2014 წლის 19 დეკემბრამდე. წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს აქტით, მიმწოდებელმა სამუშაოები დაასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და მუნიციპალიტეტმა ობიექტი ჩაიბარა 2014 წლის 18 დეკემბერს, ხოლო თანხა აუნაზღაურდა მომდევნო დღეს. სოფელ ჭანდარში ადმინისტრაციულ შენობაში მომუშავე პასუხისმგებელი პირების განმარტებით გაირკვა, რომ სამუშაოები დაიწყო 2014 წლის 1 დეკემბერს და დამთავრდა 2015 წლის იანვრის ბოლოს. აღნიშნულიდან გამომდინარე,

²¹ 172.3 ათასი ლარი X 0,4% X 60 დღე.

²² ობიექტის მიწოდების ვადა იყო 2013 წლის 5 ივლისი.

²³ 31.8 ათასი ლარი X 17 დღე X 1%.

²⁴ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის წერილი №2-03/3792.

²⁵ 84,0 ათასი ლარი X 25 დღე X 1%.

ხელშეკრულების პირობების დარღვევით, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდა დაუსრულებელი ობიექტის მიღება-ჩაბარება. აღნიშნულით, შემსყიდველმა შესაძლოა მიიღო მიმწოდებლის სასარგებლო გადაწყვეტილება, რომ ობიექტის მიწოდების ვადის გადაცილებაზე არ დაერიცხა პირგასამტეხლო.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ძირითადი მიზნებია: პროგრამით გათვალისწინებული თანხის წარმართვა სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებათა დასაფინანსებლად; ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოსახლეობის ჩართულობის გაძლიერება და ადგილობრივი მნიშვნელობის პრობლემების გადაწყვეტა უშუალოდ მოსახლეობის მიერ დასახული პრიორიტეტების შესაბამისად და სხვ. პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხის მიზნობრიობა განისაზღვრება შემდეგი კრიტერიუმებით:

- ❖ განსახორციელებელი პროგრამის (პროგრამების) დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი უნდა აისახებოდეს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობაზე;
- ❖ პროგრამის ფარგლებში შესყიდული სამუშაო, საქონელი ან მომსახურება უნდა აუმაღლებდეს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობის მატერიალურ, ყოფით, სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას;
- ❖ სამუშაოების შესასრულებლად მაქსიმალურად უნდა დასაქმდეს შესაბამისი სოფლის მოსახლეობა;
- ❖ პროგრამით განსაზღვრული თანხა უნდა მოხმარდეს ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული და კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციას, საერთო სარგებლობის შენობების აღჭურვას, და/ან გრძელვადიანი სარგებლობის ტექნიკის შესყიდვა-აღჭურვას²⁶.

2013-2014 წლებში გურჯაანის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განსახორციელებლად სულ გამოიყო 2 231.4 ათასი ლარი. მათ შორის, 2013 წელს - 1 133.1 ათასი ლარი, ხოლო 2014 წელს - 1 098.3 ათასი ლარი. სამუშაოების შერჩევისა და შესრულების პროცესში, რიგ შემთხვევებში არ არის დაცული პროგრამის მიზნობრიობა და კრიტერიუმები, კერძოდ:

❖ სოფელ დარჩეთში 2013 წლის 20 მარტს ჩატარებული კრების ოქმით, დასახელებული პროექტი შეიცვალა მოსახლეობის თანხმობის გარეშე. მოსახლეობა ითხოვდა საბავშვო ბაღში კარების შეცვლას და სამზარეულოს კოსმეტიკურ რემონტს. ნაცვლად ამისა, ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენლის 2013 წლის 26 მარტის მიმართვის საფუძველზე განხორციელდა გარე განათების მოწყობა.

❖ 2014 წლის 15 დეკემბერს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გაფორმდა ხელშეკრულება შპს „მოხელესთან“ სოფელ ველისციხეში ტუმბოსა და სასმელი წყლის სისტემის მოწყობაზე, თანხით - 5.0 ათასი ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტებით, განხორციელდა: არსებულ ჭაბურღილზე ტუმბოს მონტაჟი, წყლის ხაზის მოწყობა და რეზერვუარზე დაერთება. აუდიტის ჯგუფის მიერ ადგილზე დათვალიერებით გამოვლინდა,

²⁶ აღნიშნული კრიტერიუმი დაემატა 2014 წელს.

რომ ჭაბურღილიდან რეზერვუარამდე არ იყო დაერთებული სისტემა და წყალი იღვრებოდა. შედეგად, მოსახლეობას წყალი არ მიეწოდებოდა. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, რეზერვუარი, რომელიც მოაწყო კერძო პირმა საკუთარი ხარჯებით, ჩამოვარდა და სისტემა დაზიანდა. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაიხარჯა 5.0 ათასი ლარი, მოსახლეობა ვერ სარგებლობდა აღნიშნული სიკეთით. აუდიტის ჯგუფის მიერ გამოვლენილი ხარვეზის შემდეგ, პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მუნიციპალიტეტმა გაატარა შესაბამისი ღონისძიებები. დღეის მდგომარეობით აღნიშნული პრობლემა მოგვარებულია.

❖ 2013 წლის 12 ივლისს მუნიციპალიტეტმა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გაუფორმა ხელშეკრულება ი/მ „ეთერი ზირაქაშვილი - ემ.ენდ.ჯი-ს“ სოფელ ნანიანში შიდა საუბნო ასფალტსაფარიანი გზების ორმულ შეკეთებაზე, ღირებულებით - 7.7 ათასი ლარი. სამუშაოები განხორციელდა ორ სხვადასხვა უბანზე, სულ 3 კმ-იან მონაკვეთზე. აქედან, ერთ უბანზე, სადაც 2 კმ-ის მანძილზე მოეწყო ორმული ჩაკერებები, შემდეგ იმავე წელს სხვა პროექტით განხორციელდა გზის კაპიტალური მოწყობა, რაც დასტურდება სოფელ ნანიანში გამგებლის წარმომადგენლის წერილობითი განმარტებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სოფლის პროგრამით პრიორიტეტი განისაზღვრა მაშინ, როდესაც არსებულ გზაზე მუნიციპალიტეტს უკვე დაგეგმილი ჰქონდა გზის კაპიტალური მოწყობის სამუშაოების შესყიდვა მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი სახსრებით²⁷.

❖ 2013 წლის 27 აგვისტოს, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გაფორმდა ხელშეკრულება ი/მ „ნოდარ ყანდინაშვილთან“ სოფელ ბაკურციხეში სპორტის დარბაზის მოწყობაზე, თანხით - 5.5 ათასი ლარი. დათვალიერებით აღმოჩნდა, რომ სპორტის დარბაზის მოწყობის ნაცვლად, შეკეთდა კულტურის სახლის სახურავი. აღნიშნული პროექტით მოსახლეობა ვერ სარგებლობს.

❖ 2014 წლის 2 სექტემბერს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ სოფელ კოლაგის საბავშვო ბაღისთვის მუნიციპალიტეტმა შპს MNG-ისგან შეისყიდა გაზქურა, თანხით 0.45 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ საბავშვო ბაღი გაზის სისტემით არ არის უზრუნველყოფილი. შედეგად, გაზქურით ბაღი ვერ სარგებლობდა. აუდიტის ჯგუფის მიერ გამოვლენილი ხარვეზის შემდეგ, პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მუნიციპალიტეტმა გაატარა შესაბამისი ღონისძიებები. დღეის მდგომარეობით აღნიშნული პრობლემა მოგვარებულია.

დაუსაბუთებელი ხარჯი

2014 წლის 3 ივნისს მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გაუფორმა შპს „ძველი სიღნაღის უბნებს“, სოფელ ახაშენში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე, თანხით - 57.9 ათასი ლარი. 2014 წლის 24 ივლისს გაფორმებული შეთანხმებით ხარჯთაღრიცხვაში შევიდა ცვლილება სახელშეკრულებო თანხის ცვლილების გარეშე. კორექტირებულ ხარჯთაღრიცხვასა და ფარული სამუშაოების აქტებში სამუშაოების ღირებულება მითითებულია 57.9 ათასი ლარი, თუმცა ფაქტობრივად, მოცულობებისა და ერთეულის ფასების გადათვლის შედეგად, ეს თანხა შეადგენს 49.7 ათას ლარს. შედეგად, მიმწოდებელს ზედმეტად აუნაზღაურდა 8.2 ათასი ლარი.

²⁷ 2013 წლის 4 აპრილის მთავრობის განკარგულება.

ხიდის მოწყობა

2013 წლის 4 დეკემბერს მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გააფორმა შპს „ვანტისთან“, სოფელ კალაურში ხევზე საავტომობილო ხიდის მოწყობისათვის, ღირებულებით - 448.3 ათასი ლარი. სამუშაოების მიწოდების ვადად განისაზღვრა 2014 წლის 1 მაისი. აღნიშნული ხიდის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო მომსახურება მუნიციპალიტეტმა შეიძინა ი/მ „შუქური მელითაურისგან“, სახელშეკრულებო თანხით - 18.5 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ მიმწოდებელმა სამუშაოები დაასრულა 17 დღის დაგვიანებით, ხოლო ვადაგადაცილების გამო დარიცხული პირგასამტეხლოს ღირებულება არ გადაიხადა. დარიცხული ჯარიმის მისაღებად მუნიციპალიტეტს სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებია. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ დაკვეთილი ექსპერტიზის დასკვნით²⁸, მოწყობილ ხიდზე აღინიშნება დაზიანებები, რაც გამოიწვია ატმოსფერული ნალექის დაგროვილი წყლის მიმმართველი ღარების არქონამ. ამგვარად, ხიდის მოწყობის პროექტი ხარვეზით იყო შედგენილი.

ავტომანქანების შესყიდვაზე გადახდილი დღგ

2013 წლის 19 მარტს, 29 მარტს და 11 დეკემბერს გურჯაანის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საჭიროებისათვის მაღალი გამავლობის სატრანსპორტო საშუალებების შესყიდვაზე, საერთო ღირებულებით - 22.0 ათასი ლარი, დღგ-ის გათვალისწინებით.

სამივე ტენდერში მონაწილეობა მიიღო თითო-თითო პრეტენდენტმა, რომელთაც წარმოდგენილი ჰქონდათ სატენდერო წინადადება დღგ-ის ჩათვლით, სავარაუდო ღირებულების შესაბამისი თანხით²⁹. ვინაიდან ტენდერები უკონკურენტო გარემოში ჩატარდა, სატენდერო წინადადების ღირებულება არსებითად არ შეცვლილა და მიმწოდებლებთან გაფორმდა ხელშეკრულებები, სულ - 21.8 ათას ლარზე.

საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად, ჩათვლის უფლების გარეშე დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან განთავისუფლებულია ავტომანქანის შეძენა ან იმპორტი. მიუხედავად ამისა, გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად, მიმწოდებლებს თანხა გადაერიცხათ სრულად, მათ შორის, დღგ 3.3 ათასი ლარი.

²⁸ მიმწოდებელმა განახორციელა 417.9 ათასი ლარის სამუშაოები.

²⁹ 2013 წლის 19 მარტი: ი/მ „მაღხაზ უტიაშვილი“ – 7.0 ათასი ლარი; 2013 წლის 29 მარტი: ი/მ „ლეილა მურაკაშვილი“ – 7.8 ათასი ლარი; 2013 წლის 11 დეკემბერი: ი/მ „მაღხაზ უტიაშვილი“ – 7.0 ათასი ლარი.

შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება

2013-2014 წლებში გურჯაანის მუნიციპალიტეტის შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურებაზე გაწეულია სულ 1 784.3 ათასი ლარის ხარჯი³⁰. 2013 წელს გურჯაანის მუნიციპალიტეტში შტატგარეშე მოსამსახურედ დასაქმებული იყო 173, ხოლო 2014 წელს - 245 პირი.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშვნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. მოსამსახურეების საკრებულოში დანიშვნა ხდებოდა საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით და ფორმდებოდა შრომითი ხელშეკრულებები, ხოლო გამგეობაში - გამგებლის ბრძანებით. ფაქტობრივად მოსამსახურეები მიიღებოდა მთელი წლის განმავლობაში მუდმივი ამოცანების შესასრულებლად. ინიშნებოდნენ 3 თვით, 6 თვით, ხოლო შემდეგ უგრძელდებოდათ ვადა. აღსანიშნავია, რომ როგორც დანიშვნის ბრძანებებში, ისე შრომით ხელშეკრულებებში არ არის აღწერილი მოსამსახურეთა ფუნქციები და მოვალეობები.

2013-2014 წლებში გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს შტატგარეშე მოსამსახურეებზე პრემიის სახით გაცემულია სულ 348.7 ათასი ლარი, მიუხედავად იმისა, რომ შტატგარეშე მოსამსახურეთა დანიშვნის ბრძანებები და შრომითი ხელშეკრულებები დამატებით ანაზღაურებას და წახალისებას არ ითვალისწინებდა. აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, „საქონლისა და მომსახურების“ მუხლი არ ითვალისწინებს აღნიშნული კატეგორიის თანამშრომელთა პრემიის ხარჯს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტმა ვერ დაასაბუთა, რამდენად იყო შტატგარეშე მოსამსახურეთა მაღალი რიცხოვნობა ობიექტური საჭიროებით განპირობებული. შედეგად, მუნიციპალიტეტის მიერ საანგარიშგებო პერიოდში გაწეულია 1 784.3 ათასი ლარის დაუსაბუთებელი ხარჯი.

საკრებულოს წევრების ანაზღაურება

გურჯაანის მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წელს საკრებულოს წევრებზე ხარჯების სახით გაცემულია 36.0 ათასი ლარი, ხოლო 2014 წელს - 48.6 ათასი ლარი.

2013 წელს და 2014 წლის 8 თვის განმავლობაში საკრებულოს დეპუტატებზე საკომპენსაციო თანხების გაცემა ხდებოდა თითოეულზე, თვეში 200 ლარის ოდენობით. 2014 წლის 1 სექტემბრის საკრებულოს დადგენილებით შემუშავდა საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი, რომლის მიხედვით, თითოეულ დეპუტატზე ასანაზღაურებელი კომპენსაცია განისაზღვრა თვეში 300 ლარით. წესის თანახმად, საკრებულოს წევრები ყოველი თვის 14 რიცხვში საკრებულოს აპარატის უფროსს წარუდგენენ განცხადებას, რომელშიც მითითებული უნდა იყოს ამომრჩეველბთან შეხვედრისთვის ან საკრებულოს თავმჯდომარის კონკრეტული დავალების შესრულებისათვის გაწეული დანახარჯების ოდენობა, რასაც თან უნდა ახლდეს სათანადო დოკუმენტაცია.

³⁰ 2013 წელს - 852.9 ათასი ლარი, ხოლო 2014 წელს - 931.4 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები. შედეგად, საანგარიშო პერიოდში საკრებულოს წევრებზე გაცემული ჯამური თანხა - 84.6 ათასი ლარი, არასწორადაა ჩამოწერილი ხარჯებში, შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე.

საინფორმაციო საშუალებების დაფინანსება

2013 წელს გურჯაანის მუნიციპალიტეტსა და ტელეკომპანია „გურჯაანს“ შორის გაფორმებულია ხელშეკრულება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესების სარეკლამო გადაცემა „დიალოგში“ გაშუქებისა და მორბენალი სტრიქონის მომსახურებისათვის საეთერო დროის გამოყოფის შესახებ. აღნიშნული მომსახურების უზრუნველსაყოფად მუნიციპალიტეტმა ტელეკომპანიას აუნაზღაურა 36.0 ათასი ლარი. ასევე, მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებულია დღის გამოშვების პირდაპირ ეთერში მიწოდება, თანხით - 1.4 ათასი ლარი. 2014 წელს ტელეკომპანიის დაფინანსება არ განხორციელებულა.

გარდა ამისა, 2013-2014 წლებში მუნიციპალიტეტი სუბსიდიით აფინანსებდა ა(ა)იპ „გურჯაანის მუნიციპალურ მაცნეს“, თანხით 86.6 ათასი ლარი. აქედან 77.1 ათასი ლარი (89%) დახარჯულია 7 თანამშრომლის შრომის ანაზღაურებაზე. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ა(ა)იპ თვეში ორჯერ გამოსცემს გაზეთს სახელწოდებით „გურჯაანი“, ტირაჟით 500 ცალი³¹. გაზეთში ქვეყნდება ინფორმაცია მუნიციპალიტეტში განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ერთი ცალი 6 გვერდიანი გაზეთის გამოშვებაში ადგილობრივი ბიუჯეტიდან იხარჯება დაახლოებით 3 ლარი და 60 თეთრი. სასურველია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის შესაბამისმა სამსახურებმა და პასუხისმგებელმა პირებმა იმსჯელონ, საბიუჯეტო რესურსების რაციონალური გამოყენებით, მოსახლეობისათვის მუნიციპალიტეტში განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე.

დასუფთავება

2013-2014 წლებში გურჯაანის მუნიციპალიტეტის მიერ დასუფთავების ღონისძიებებზე გახარჯულია 734.2 ათასი ლარი³². მათ შორის, 2013 წელს ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად განხორციელდა კომერციული ფართებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, თანხით - 112.7 ათასი ლარი. გურჯაანის მუნიციპალიტეტში მოსაკრებლის ოდენობა არსებული ინსტრუქციის³³ თანახმად, სოფლებისათვის დადგენილია თვეში 1 სულ მოსახლეზე 0.2 ლარიდან - არაუმეტეს 0.4 ლარამდე; ქალაქის მოსახლეობისათვის - თვეში 1 სულზე - 0.5 ლარი, არაუმეტეს 1 ლარისა. იურიდიული პირებისათვის კი დიფერენცირებულია დაგროვებული ნარჩენების წონის მოცულობის მიხედვით და არ აღემატება 25 ლარს 1 კუბ.მ-ზე.

³¹ გაზეთი ვრცელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უფასოდ

³² 2013 წელი - 338.2 ათასი ლარი, 2014 წელი - 396.0 ათასი ლარი.

³³ „დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღებისა და დასუფთავებისთვის მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია“.

2013-2014 წლების გურჯაანის მუნიციპალიტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრა ყოველი წლისათვის 45.0 ათასი ლარით. თუმცა საანგარიშგებო პერიოდში მუნიციპალიტეტს დასუფთავების მოსაკრებელი საერთოდ არ მიუღია, რადგან გამგეობის შესაბამისი სამსახურები არ უზრუნველყოფდნენ მოსაკრებლის ადმინისტრირებას, რითაც არ სრულდებოდა საკანონმდებლო მოთხოვნები. არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ მიმწოდებლის მიერ ხდებოდა კერძო იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან დასუფთავების მომსახურებისათვის გარკვეული თანხის ამოღება. აღნიშნულ რისკს ამყარებს ის გარემოება, რომ შპს „გლეხურ ბაზარს“ მიმწოდებლისათვის საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანაში გადახდილი აქვს 2.4 ათასი ლარი იმ მომსახურებისათვის, რომლის საფასური მუნიციპალიტეტს გადახდილი ჰქონდა.

საჭიროა აღმასრულებელმა ორგანომ დებულებით განსაზღვრული ფუნქციების ფარგლებში მოახდინოს დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირება საკრებულოს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ 2013-2014 წლებში გურჯაანის მუნიციპალიტეტს შესყიდული აქვს ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალის 55 კმ-იანი მონაკვეთის მიმდებარედ, გზის ორივე მხარეს - სულ 55000 კვ.მ-ის დასუფთავების მომსახურება, ანუ გზის ერთი ნაპირის დასუფთავება 0.5 მ სიგანეზე. სახელმწიფო მნიშვნელობის გზის მოვლას ახორციელებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, რომელსაც განხორციელებული აქვს აღნიშნული მონაკვეთის გზის მიწის ვაკისის მოვლა-პატრონობა, ბალახების მოთიბვა და სხვა. წარმოდგენილი ინფორმაციით, მიმწოდებლის მიერ 2013-2014 წლებში ცენტრალური საავტომობილო გზის დასუფთავების მიზნით, გაწეული ხარჯი შეადგენს 28.2 ათას ლარს. ამდენად, მუნიციპალიტეტის მიერ ხარჯი გაწეულია ისეთი ტერიტორიის დასუფთავებაზე, რომლის მოვლა-პატრონობა ევალება სახელმწიფოს.

სასაფლაოების მოვლა-პატრონობა

2013 წელს გურჯაანის მუნიციპალიტეტმა სასაფლაოების მოვლა-პატრონობის მომსახურების შესყიდვა განახორციელა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით შპს „ჯი დი ემ კომპანიისგან“. ხარჯთაღრიცხვის თანახმად, მიმწოდებელმა მოახდინა წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 44 სასაფლაოს ტერიტორიების დასუფთავება, გათიბვა, ეკალ-ბარდის გაკაფვა, დაგროვილი ნარჩენების გატანა, მათი დაწვა-განადგურება, არსებული ღობეების გასწორება. აღნიშნული მომსახურების შესყიდვაზე მუნიციპალიტეტმა სულ დახარჯა 27.8 ათასი ლარი.

2014 წელს სასაფლაოების მოვლა-პატრონობა დაევალა თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ „მუნიციპალურ სერვისს“, რისთვისაც სუბსიდიით დაფინანსდა 39.5 ათასი ლარით. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტმა მიიღო არაეკონომიური გადაწყვეტილება, რადგან 2014 წელს აღნიშნულ მომსახურებაში გადაიხადა 11.7 ათასი ლარით მეტი, ვიდრე 2013 წელს.

მუნიციპალიტეტის იურიდიული პირები

გურჯაანის მუნიციპალიტეტში 2013-2014 წლებში ფუნქციონირებდა თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებული 21 ა(ა)იპ და 1 შპს. საანგარიშგებო პერიოდში ა(ა)იპ-ებს მიღებული აქვთ სუბსიდიური დაფინანსება, თანხით - 5385.0 ათასი ლარი³⁴. დაფუძნებულ იურიდიულ პირებში დასაქმებულთა რიცხოვნობა 2013 წელს იყო 1018, ხოლო 2014 წელს - 1076 მოსამსახურე. აღსანიშნავია, რომ ა(ა)იპ „სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების“ დაფინანსების გარდა, მუნიციპალიტეტში არსებული დანარჩენი 20 ა(ა)იპ-ის მიერ მიღებული სუბსიდიის 66,3% გახარჯულია შრომის ანაზღაურებაზე, თანხით - 2061.9 ათასი ლარი.

სპორტული და კულტურული პროფილის ა(ა)იპ-ები

საანგარიშგებო პერიოდში სპორტული და კულტურული პროფილის იურიდიული პირების სუბსიდიურმა დაფინანსებამ შეადგინა 738.4 ათასი ლარი, აქედან, ადმინისტრაციული ხარჯია 158.8 ათასი ლარი.

❖ გურჯაანის მუნიციპალიტეტში 2013-2014 წლებში მოქმედებდა 3 სპორტული პროფილის ა(ა)იპ: ა(ა)იპ „სპორტული კომპლექსი“, ა(ა)იპ „სპორტსკოლა“ და ა(ა)იპ „მინდორაშვილის სახელობის გურჯაანის ჭიდაობის სკოლა“. იურიდიულ პირებს წესდებით ერთი მიმართულება აქვთ. კერძოდ: სპორტის განვითარება, სპორტის სახეობათა პოპულარიზაცია, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და სხვ.

პასუხისმგებელი პირების განმარტებით, ა(ა)იპ „სპორტკომპლექსი“ აქვს საკუთარი სპორტული მოედნები, ტრენაჟორები და სხვა საჭირო ინვენტარი. მის ფუნქციებში შედის საკუთარი ინფრასტრუქტურით მომსახურების გაწევა. 2013-2014 წლებში მუნიციპალიტეტი მას სუბსიდიით აფინანსებდა 108.8 ათასი ლარით, მათ შორის, დასაქმებული 20 თანამშრომლის შრომის ანაზღაურებაზე დახარჯულია 88.5 ათასი ლარი. ა(ა)იპ „სპორტსკოლაში“ ფუნქციონირებს 9 სახეობის³⁵ 20 სპორტული ჯგუფი, რომლებიც აერთიანებს 350 მოსწავლეს. მიუხედავად ამისა, მას არ გააჩნია საკუთარი შენობა და ინფრასტრუქტურა, რისთვისაც სპორტულ ჯგუფებს ძირითადად წვრთნები უტარდებათ ა(ა)იპ „სპორტკომპლექსის“ ბაზაზე. საანგარიშგებო პერიოდში ა(ა)იპ „სპორტსკოლა“ დაფინანსდა 103.0 ათასი ლარით, მათ შორის, 21 თანამშრომლის შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 62.8 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ ა(ა)იპ „სპორტსკოლას“ ამჟამად არ აქვს ჭიდაობის ჯგუფი, რადგან გამოეყო და ჩამოყალიბდა ა(ა)იპ „მინდორაშვილის სახელობის გურჯაანის ჭიდაობის სკოლად“, რომელიც 2013-2014 წლებში დაფინანსდა 76.0 ათასი ლარით, საიდანაც 14 თანამშრომლის ხელფასზე დაიხარჯა 51.8 ათასი ლარი.

❖ გურჯაანის მუნიციპალიტეტში 2013-2014 წლებში ფუნქციონირებდა 4 სხვადასხვა კულტურული პროფილის ა(ა)იპ: ა(ა)იპ „გურჯაანის კულტურის ცენტრი“, ა(ა)იპ „მრავალჟამიერი“, ა(ა)იპ „ქართული ეროვნული ცეკვის ანსამბლი გურჯაანი“, ა(ა)იპ ვოკალურ-ქორეოგრაფიული ანსამბლი „ცერული“.

³⁴ შპს-ს სუბსიდია არ მიუღია.

³⁵ ჭადრაკი, კრივი, კალათბურთი, ფეხბურთი, ფრენბურთი, კინგბოქსინგი, მკლავჭიდი, კარატე, რაგბი.

იურიდიულ პირებს წესდების თანახმად, მსგავსი ფუნქციები და მიზნები აქვთ. კერძოდ: ქართული ფოლკლორის განვითარება, ქართული ცეკვისა და სიმღერის პოპულარიზაცია, ბავშვთა და მოზარდთა ეროვნულ ტრადიციებზე აღზრდა და სხვ.

ა(ა)იპ „გურჯაანის კულტურის ცენტრი“ საანგარიშგებო პერიოდში სუბსიდიით დაფინანსდა 251.9 ათასი ლარით, აქედან, 39 თანამშრომლის ხელფასზე დაიხარჯა 155.4 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში იურიდიული პირის ბალანსზე ირიცხება სოფლის 7 კულტურის სახლი. თითოეულ შენობაში დასაქმებულია ერთი თანამშრომელი მთავარი სპეციალისტის პოზიციაზე, რომელთა ძირითადი ფუნქციაა შენობის დაცვა და დასუფთავება.

ა(ა)იპ ვოკალურ-ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ცერულს“ და ა(ა)იპ „მრავალჟამიერს“ მოსწავლეთა მოსამზადებლად საკუთარი დარბაზი არ გააჩნია, რისთვისაც ა(ა)იპ-„კულტურის ცენტრისგან“ იჯარით აქვთ ფართობები აღებული. აქვე უნდა აღინიშნოს, 2013 წლამდე ა(ა)იპ - „მრავალჟამიერი“ და ა(ა)იპ „ქართული ეროვნული ცეკვის ანსამბლი - გურჯაანი“, ერთი იურიდიული პირი იყო სახელწოდებით ა(ა)იპ „სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი - გურჯაანი“.

ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისი“

გურჯაანის მუნიციპალიტეტში 2013-2014 წლებში ფუნქციონირებდა თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისი“. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო პერიოდში იურიდიული პირის ფუნქციებს წარმოადგენდა სოფლების წყალმომარაგების ქსელის მოწესრიგება, მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა, წყლის მომსახურების ტარიფის ამოღება და სასაფლაოების მოვლა-პატრონობა.

2013-2014 წლებში იურიდიული პირის შემოსულობებმა შეადგინა 1139.0 ათასი ლარი, აქედან 921.0 ათასი ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სუბსიდიის, ხოლო 218.0 ათასი ლარი - წყლის გადასახადი. გადასახდელებმა შეადგინა 1139.2 ათასი ლარი, აქედან 74% ხარჯებია (843.2 ათასი ლარი), ხოლო 26% - არაფინანსური აქტივების ზრდა (296.0 ათასი ლარი).

ცხრილი №5. 2013-2014 წლებში ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისის“ მიერ გაწეული ხარჯები (ათასი ლარი)

ხარჯების დასახელება	თანხა
ადმინისტრაციის ხელფასი	199.0
წყლის მარეგულირებლების ხელფასი	150.7
წყლის გადასახადის ამკრეფების ხელფასი	52.8
სასაფლაოების მომვლელების ხელფასი	39.4
ხელშეკრულებით დაქირავებული მუშების ხელფასი	139.8
მივლინება	1.0
ჩგდ (ქვითრები)	6.2
ოფისის ხარჯი	15.3
კაბურღილების ელენერგიის ხარჯი	200.5
ტრანსპორტის შენახვისა და საწვავის ხარჯი	38.5
სულ:	843.2

ა(ა)იპ „მუნიციპალურ სერვისში“ 2013 წელს დასაქმებულთა რაოდენობა იყო 109, ხოლო 2014 წელს - 142 ერთეული, მათ შორის, ადმინისტრაციაში მერყეობდა 24-დან 29 ერთეულამდე, რომლის სახელფასო ხარჯი შეადგენდა 199.0 ათას ლარს. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით დადგინდა, რომ ა(ა)იპ-ში დასაქმებულთა ფუნქციები არ არის სათანადოდ დასაბუთებული და შესაძლებელია საბიუჯეტო სახსრების დაზოგვა, რაც ასევე დასტურდება იურიდიული პირის დირექტორის წერილობითი განმარტებით. კერძოდ:

- ❖ ა(ა)იპ-ის დირექტორს ჰყავს 3 მოადგილე. ერთის ფუნქციაა ჭაბურღილების მუშაობის უზრუნველყოფა, მეორისა - სოფლების მიხედვით შესრულებული სამუშაოების კონტროლი, მესამე მოადგილისა - სასაფლაოების მოვლა-პატრონობაზე კონტროლი. თუმცა, გარდა ამისა, ანალოგიურ საქმიანობაზე მაკონტროლებელი ფუნქციები აქვთ 12 მთავარ და უფროს სპეციალისტს.
- ❖ ადმინისტრაციის 8 სპეციალისტი ემსახურება სოფლებიდან შემოტანილი ქვითრების შემოწმებას, მაშინ როდესაც პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნულ საქმიანობას რეალურად მთავარი ბუღალტერი და ერთი დამხმარე სპეციალისტი სჭირდება.

სულ ა(ა)იპ-ის დირექტორის 3 მოადგილისა და სპეციალისტთა შრომის ანაზღაურებაზე დახარჯულია 89.0 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის დაფუძნებული იურიდიული პირების მიერ გაწეული საქმიანობის შესწავლით გამოვლინდა, რომ შესაძლებელია განხორციელდეს ა(ა)იპ-ებისა და მასში არსებული სამტატო ერთეულების ოპტიმიზაცია, რათა გაიზარდოს მათი საქმიანობის პროდუქტიულობა და მოხდეს საბიუჯეტო რესურსების რაციონალური გამოყენება.

შპს „კეთილმოწყობა“

გურჯაანის მუნიციპალიტეტში დაფუძნებულია თვითმმართველი ერთეულის 100%-ანი წილის მქონე შპს „კეთილმოწყობა“. 2013-2014 წლებში შპს-ის დამფუძნებლისათვის არ წარუდგენია გრძელვადიანი განვითარების ბიზნესგეგმები, წლიური ფინანსური შედეგების საპროგნოზო მაჩვენებლები, წლიური ანგარიშები. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ ახდენდა იურიდიული პირის წლიური შედეგების განხილვას, ანალიზსა და საქმიანობის შეფასებას. აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ მუნიციპალიტეტის მხრიდან არ არის შემუშავებული კონტროლის მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობდა შპს-ის განვითარებას, ფინანსური შედეგების გაუმჯობესებას და მისაღები დივიდენდების ზრდას.

იურიდიული პირი შემოსავლებს იღებს როგორც მუნიციპალიტეტის დაკვეთით შესრულებული სამუშაოებიდან, ასევე სხვა კერძო პირებთან სატრანსპორტო საშუალებების გაქირავებით. აღსანიშნავია, რომ 2013-2014 წლებში შპს ფლობდა მუნიციპალიტეტიდან თხოვრების წესით გადაცემულ 8 ერთეულ სატრანსპორტო საშუალებას - ავტოგრიდერი, ბეტონის ამრევი, ექსკავატორი, ნაგავშემკრები მანქანა, 2 ერთეული თვითმცლელი და მიკროავტობუსი. აღნიშნული ავტომანქანების გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი საანგარიშგებო პერიოდში შეადგენდა 93.4 ათას ლარს. 2013-2014 წლებში ფინანსური წელი შპს „კეთილმოწყობამ“ დაასრულა ზარალით.

სოციალური უზრუნველყოფა

გურჯაანის მუნიციპალიტეტის მიერ 2013-2014 წლებში „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით გახარჯულია სულ 1 586.3 ათასი ლარი. მათ შორის: ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დახმარებაზე დაიხარჯა 466.8 ათასი ლარი, ერთჯერადი დახმარება - 236.5 ათასი ლარი, მრავალშვილიანთა დახმარება - 131.6 ათასი ლარი, სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება - 691.4 ათასი ლარი, დაკრძალვა - 8.5 ათასი ლარი, სტიქია - 51.5 ათასი ლარი.

საანგარიშგებო პერიოდში მუნიციპალიტეტს არ ჰქონდა შემუშავებული სოციალური პროგრამების დაფინანსების წესი, აგრეთვე თითოეული პროგრამისა და ბენეფიციართა შეფასების კრიტერიუმები. არ ხდებოდა ბენეფიციართა საერთო ბაზის წარმოება, არ აღირიცხებოდა შემოსული განცხადებები. მუნიციპალიტეტის მიერ ერთჯერადი და ახალშობილთა დახმარებების გაცემისას, შემოსული განცხადების შესწავლა და ბენეფიციართა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დადგენა ეყრდნობოდა ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენლებთან სატელეფონო კავშირით მოწოდებულ ინფორმაციას. რამდენიმე შერჩეულ ბენეფიციარზე ფორმდებოდა საერთო დასკვნა, რომელშიც არ არის დასაბუთებული დახმარების გაცემის საფუძველი.

სოციალური დახმარებების გაცემა ნაწილობრივ სალაროდან ხდებოდა - სულ 608.3 ათასი ლარი³⁶. კანონმდებლობის შესაბამისად, მოლარის მოვალეობას ასრულებს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელის მიერ გამოცემული ბრძანებით დანიშნული ანგარიშვალდებული პირი. აღნიშნულზე ბრძანება მუნიციპალიტეტში არ გამოცემულა. არსებობს რისკი იმისა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ თითოეული ბენეფიციარის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის კომისიურად შესწავლა ხდებოდა ტენდენციურად და არასათანადოდ, დახმარებები გაიცემოდა ერთსა და იმავე პირებზე რამდენჯერმე. ვინაიდან სალაროში თანხების მოძრაობაზე არ არსებობდა ოფიციალურად დანიშნული პასუხისმგებელი პირი, სალაროდან თანხების დაუსაბუთებლად გაცემის რისკი ასევე მაღალია.

ჩატარებული აუდიტორული პროცედურების შედეგად გამოვლინდა, რომ ერთსა და იმავე პირებზე ერთჯერადი დახმარებები გაიცა 93 შემთხვევაში, აქედან, 16 შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ერთჯერადი დახმარების გაცემის საფუძველი - ბენეფიციარის განცხადება, პირადობის მოწმობის ასლი და სხვ. 2013 წელს ახალშობილთა დახმარების პროგრამით, 2 შემთხვევაში ერთსა და იმავე ახალშობილზე 2-ჯერ გაიცა დახმარება - თითოეულზე 600 ლარი, როდესაც სხვა ახალშობილებზე გაიცემოდა ერთჯერადად - 300 ლარი.

აღსანიშნავია, რომ 2013 წელს სოციალური პროგრამებიდან აუთვისებელია 27.2 ათასი ლარი, მაშინ როდესაც ვერ იქნა დაკმაყოფილებული 3275 ბენეფიციარის განცხადება, ხოლო 2014 წელს აუთვისებელია 84.6 ათასი ლარი და არ დაკმაყოფილდა 1212 მოთხოვნა. მუნიციპალიტეტის მიერ სოციალური პროგრამებისათვის განხორციელებული საქმიანობიდან გამომდინარე, ვერ დგინდება სოციალური დახმარებების მიმღებ პირთა პრიორიტეტულობა დაუკმაყოფილებელ ბენეფიციარებთან შედარებით.

საჭიროა მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს და დაამტკიცოს სოციალური პროგრამების გაცემის წესი, აღრიცხოს ყველა შემოსული განცხადება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

³⁶ 2013 წელი - 355.4 ათასი ლარი; 2014 წელი - 252.9 ათასი ლარი.

არსებული ბენეფიციარების საერთო ბაზის შესაქმნელად, რომ ბიუჯეტის დაგეგმვის დროს სწორად განისაზღვროს პროგრამების მიხედვით სოციალური დახმარებების მოცულობა.

ქონების განკარგვა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების ადმინისტრაციულ ცენტრებსა და მის საკუთრებაში არსებულ სხვა შენობა-ნაგებობებში განთავსებულია სხვადასხვა ორგანიზაციები და არაუფლებამოსილი პირები. კერძოდ: ს/ს „ლიბერთი ბანკის“ წარმომადგენლობა, დენისა და წყლის საფასურის ამკრეფები, სადალაქო, სურსათის მაღაზია, პურსაცხობი და სხვ., სულ 35 ობიექტი. აუდიტის ჯგუფის მიერ მოპოვებული ინფორმაციითა და გამგეობის პასუხისმგებელი პირების განმარტებებით დადგინდა, რომ აღნიშნული პირები მუნიციპალიტეტის ქონებას იყენებენ კომერციული საქმიანობისათვის, ხოლო ფართით სარგებლობისათვის ბიუჯეტში შესაბამის საფასურს არ იხდიან. მუნიციპალიტეტმა აუდიტის ჯგუფს ვერ წარმოუდგინა აღნიშნულ ობიექტებზე საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებული საჭირო დოკუმენტები. არ ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას მის საკუთრებაში არსებული ქონების შესახებ, რის გამოც არსებობს მაღალი რისკი, რომ მუნიციპალიტეტს სათანადო წესით არ აქვს აღრიცხული და განკარგული საკუთრებაში არსებული ყველა ქონება.

სოფელ ვეჯინის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობის 3 ოთახი, რომლითაც ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე სარგებლობდა კერძო პირი, საარჩევნო პერიოდში თხოვრებით იყო გადაცემული პოლიტიკურ პარტიაზე, რაც დასტურდება მოსარგებლის წერილობითი განმარტებით. გარდა ამისა, სოფელ გურჯაანის რწმუნებულის განმარტებით, ყოფილი საბჭოთა მეურნეობის შენობა, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო ქონებას, თვითნებურად აქვს დაკავებული მოქალაქეს და იყენებს როგორც საცხოვრებლად, ასევე პირუტყვის სადგომად.

ზემოთ აღნიშნული საკითხების დასარეგულირებლად მუნიციპალიტეტმა უნდა გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

დემონტირებული მასალები

სამშენებლო სამუშაოების პროცესში დემონტაჟის შედეგად მიღებული ვარგისი მასალები ექვემდებარება მუნიციპალიტეტის მიერ დასაწყობებას. აღნიშნული ქონება უნდა შეფასდეს და აღირიცხოს, ხოლო შენახვაზე დაინიშნოს პასუხისმგებელი პირი. ქონების განკარგვა უნდა განხორციელდეს კანონმდებლობის შესაბამისად.

2013-2014 წლებში გურჯაანის მუნიციპალიტეტის მიერ სამშენებლო სამუშაოების დროს დემონტაჟის შედეგად ვარგისი მასალების აღრიცხვა არ ხორციელდებოდა. შედეგად არ მომხდარა დემონტირებული მასალების დასაწყობება-შენახვა, რასაც ადასტურებენ მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირები წერილობითი განმარტებებით. კონტროლის არ არსებობის გამო, მაღალი რისკია იმისა, რომ მოხდეს სახელმწიფო ქონების დატაცება და მისი კერძო პირების მიერ საკუთარი საჭიროებისათვის გამოყენება.

2014 წელს სოფელ ველისციხეში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებით, საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის დროს, მიმწოდებელმა

თვითნებურად მოახდინა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების - საავადმყოფოს დამხმარე შენობა-ნაგებობის დემონტაჟი. მიმწოდებლის განმარტებით, დემონტაჟის დროს ამორჩეულ იქნა 2800 ცალი მეორადი აგური და გამოიყენა საკუთარი ინტერებისათვის.

მიწაზე საკუთრების უფლების აღიარება

ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შექმნილი კომისია.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საკუთრების უფლების აღიარება ხორციელდება თვითნებურად დაკავებულ მიწებზე, რომელიც წარმოადგენს:

- ❖ კანონის ამოქმედებამდე ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ თვითნებურად დაკავებულ სახელმწიფო საკუთრების მიწის ნაკვეთს, რომელზედაც განთავსებულია საცხოვრებელი სახლი (აშენებული ან დანგრეული) ან არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა (აშენებული).
- ❖ დაინტერესებული პირის საკუთრებაში, ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე, თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთს (შენობით ან მის გარეშე), რომლის ფართობიც ნაკლებია საკუთრებაში, ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართობზე.

გურჯაანის მუნიციპალიტეტში 2013-2014 წლებში ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლებით აღიარებული 2 ობიექტი გაცემულია კანონდარღვევით. კერძოდ, ფიზიკურ პირს - ქეთევან მოსემდვდლისშვილს დარეგისტრირებული ჰქონდა სოფელ შაშიანში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 1700 კვ.მ, რომელსაც საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ აღნიშნული ფართობის მომიჯნავედ აუღიარა 3182 კვ.მ მიწა³⁷; სოფელ მელაანში გურამ თამაზაშვილს, რომელსაც საკუთრებაში ჰქონდა 2179 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო მიწა, საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ აუღიარა 2384.4 კვ.მ ფართობი.

სატრანსპორტო საშუალებები ლიმიტის ზევით

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ცენტრალური აპარატის მუშაკთა 100-150 ერთეული საშტატო რიცხოვნობისას, სამსახურებრივი მიმოსვლისათვის საჭირო მსუბუქი ავტომანქანების ზღვრული ოდენობა განსაზღვრულია 3 ერთეულით.

2013-2014 წლებში გურჯაანის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საშტატო რიცხოვნობა მერყეობდა 110-დან 140 ერთეულამდე. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ცენტრალური აპარატი სამსახურებრივი მიმოსვლისათვის ნაცვლად 3 ერთეულისა, სარგებლობდა 7 ერთეული ავტომანქანით. აქედან, 3 ავტომანქანა შესყიდულია 2013 წელს, საერთო ღირებულებით 22.0 ათასი ლარი.

³⁷ მოკლე დროში აღნიშნული მიწა გაყიდა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, 2013-2014 წლებში გურჯაანის მუნიციპალიტეტს სამსახურებრივი მიმოსვლისათვის ემსახურებოდა ავტომანქანები საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 11 აგვისტოს №364 ბრძანებულებით განსაზღვრული ნორმატივის ზევით.

აღრიცხვა-ანგარიშგება

გურჯაანის მუნიციპალიტეტი ვალდებულია კანონმდებლობის შესაბამისად³⁸, დადგენილ ვადებში მოამზადოს პერიოდული და წლიური ფინანსური ანგარიშგებები, სადაც უნდა აისახოს ინფორმაცია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. გურჯაანის მუნიციპალიტეტს 2013-2014 წლებში არ შეუდგენია პერიოდული და წლიური ფინანსური ანგარიშგებები. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ეს განპირობებულია იმით, რომ ფინანსური ანგარიშგების მომზადება არავის მოუთხოვია. თუმცა აღნიშნული მიზეზი ვერ იქნება საკმარისი არგუმენტი ფინანსური ანგარიშგებების მოუმზადებლობისთვის. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ წარედგინება ზუსტი და სრული ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

2013 -2014 წლებში მუნიციპალიტეტში ბუღალტრული აღრიცხვა- ანგარიშგება არ არის ნაწარმოები მოქმედი კანონმდებლოს შესაბამისად. კერძოდ, სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის ჩანაწერების სისწორის კონტროლის მიზნით, ყოველთვიურად არ არის ნაწარმოები ბრუნვათა უწყისები და ე.წ. „მთავარი წიგნი“, შესაბამისად, ანალიზური ანგარიშგების ბრუნვები და ნაშთები არ არის შედარებული „მთავარი წიგნის“ ნაშთებს. საფინანსო სამსახური არ ახორციელებდა ცვეთის სიდიდის დაანგარიშებას თითოეული ძირითადი აქტივისა და ცვეთის ნორმების მიხედვით.

კანონმდებლობის თანახმად, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით, ორგანიზაცია ვალდებულია მოახდინოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა და საბიბლიოთეკო ფონდებისა, რომელთა ინვენტარიზაცია სავალდებულოა 3 წელიწადში ერთხელ მაინც. მუნიციპალიტეტში ბალანსზე რიცხული ქონების აღწერის მიზნით შექმნილმა საინვენტარიზაციო კომისიამ აღწერა ძირითადი აქტივებისა და მცირეფასიანი ინვენტარის ფაქტობრივი ნაშთები, ხოლო მათი შედარება ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან არ მომხდარა. შესაბამისად, არ არის გამოყვანილი ზედმეტობა ან დანაკლისი. ასევე, არ მომხდარა მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია.

აუდიტის ჯგუფის მიერ მუნიციპალიტეტის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების თანდასწრებით განხორციელდა სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება. გამოვლინდა 1 ერთეული სატრანსპორტო საშუალების დანაკლისი. კერძოდ, 2009 წელს თბილისის მერიის შპს „თბილსერვის ჯგუფმა“ გურჯაანის მუნიციპალიტეტს უსასყიდლოდ, საკუთრებაში

³⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“

გადასცა ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალება (ნაგვის მანქანა), ნარჩენი ღირებულებით - 31.5 ათასი ლარი. აუდიტის ჯგუფის მიერ მანქანა ფაქტობრივად ვერ იქნა ნანახი. პასუხისმგებელი პირების განმარტებით ირკვევა, რომ აღნიშნული მანქანა წლებია იმყოფება თბილისში, თუმცა საინვენტარიზაციო კომისიის მასალებში ფაქტობრივად ნაშთებშია აღრიცხული.

კერძო აუდიტის დასკვნა

2013 წელს თვითმმართველმა ერთეულმა შეისყიდა გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2013 წლის 7 თვის საქმიანობის და მუნიციპალიტეტში დაფუძნებული ა(ა)იპ-ების 2011 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 1 ივნისამდე პერიოდის აუდიტორული შემოწმება, ღირებულებით 4.0 ათასი ლარი. წარმოდგენილი ანგარიშის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ ის ასახავს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების საკითხს, ხოლო აუდიტორმა დასკვნა გასცა და დაადასტურა ფინანსური ანგარიშგების უტყუარობა და სამართლიანობა. აღსანიშნავია, რომ პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მუნიციპალიტეტს 2013 წელს ფინანსური ანგარიშგება საერთოდ არ შეუდგენია. ამასთანავე, ანგარიში არ მოიცავს იმ ხარვეზებსა და დარღვევა-ნაკლოვანებებს, რომლებიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ იქნა იდენტიფიცირებული. გარდა ამისა, კერძო აუდიტის მიერ გაცემულ დასკვნაში, რომელიც ძირითადად მოიცავს ბიუჯეტის შედგენა-შესრულების მდგომარეობას, არ არის ასახული 1100.6 ათასი ლარის ოპერაციის არასწორად კლასიფიცირების ფაქტი. ამდენად, კერძო აუდიტორის მიერ მომზადებული დასკვნა არ შეესაბამება მარეგულირებელ ნორმებს და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს.


აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

უფროსი აუდიტორი:

გიორგი შურღაია




ხელმოწერა

23.10.2015

თარიღი

აუდიტორი:

ირაკლი გოგოლიძე



ხელმოწერა

23.10.2015

თარიღი

აუდიტორი:

ლია გუჯაბიძე



ხელმოწერა

23.10.2015

თარიღი

აუდიტორი:

ლელა მიქაძე



ხელმოწერა 23.10.2015 თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:

ირაკლი კოხრეიძე



ხელმოწერა 23.10.2015 თარიღი